# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 იანვარი 2006 №4 (2626) ფასი 50 თეთრი


## ჰოლანდიელები სიონში?

ბოლნისში სიმშვიდეა და ლეგიონერებზე ფიქრობენ

2



## დინამო მოსკოვში 5:0 წაიღო

ბოლო ამხანაგური თანამეგობრობამდე

3



## მათეუსის ბრაზილიური ნარკოტიკი

გერმანელი იქით წავიდა, საიდანაც აქეთ მოდიან

7

### წარწერა საქართველოს ნაკრების კარზე

# უცხო პირთა შესვლა ნებადართულია



მიზანი ერთია, დიადი, ნათელი — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. გუშინ ქართული ფეხბურთის არსთა გამრიგენი დიდხანს მსჯელობდნენ ევრო 2008-ისკენ სავალ გზებზე და დაასკვნეს, რომ საქართველოს ნაკრების მეკარეთა მზადყოფნა დასახულ მიზანს არ შეესაბამება.

გამოსავალი? თუ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი საჭიროდ ჩათვლის, ფეხბურთის ფედერაცია მზად არის, პრობლემას უცხოელი მეკარის ნატურალიზებით უწამლოს, ქვეყნის პარლამენტი და მთავრობა კი ამ პროცესის იურიდიულად გარანდვას ითავებს.

კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრების რამდენიმე შეხვედრის ვიდეოფირი ნახა. სავარაუდოდ, მეკარის პრობლემის ამგვარად გადაჭრის იდეაც ნაკრების ახალ თავკაცთან კონსულტაციის შედეგად დაიბადა.

ასე რომ, არ გამორიცხოთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრები ნატურალიზებული მეკარით შეხვდეს. ალბათ უფრო გერმანელით...



## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXI ტური

ბორდო 1:0 ოსერი
აიაჩო 0:2 ნანტი
ლანსი 1:2 ნანსი
მეცი 0:1 სენტ ეტიენი
მონაკო 1:1 სტრასბური
რენი 1:0 ლე მანი
სოშო 1:1 ნიცა
ტრუა 1:0 ლილი
ლიონი 2:1 მარსელი

II დივიზიონი. XXI ტური

გრენობლი 2:3 ვალანსიენი
ლე ავრი 2:0 ბრესტი

## ბელგია

II კლასი. XVII ტური

ეუპენი 1:1 მეხელენი
გეელი 2:0 ოსტენდე
ჰეუსდენი 3:0 ტუბეკე
ლომელი 2:0 დესელი
მონსი 1:0 დაინცე
ოდ ევერლე 2:1 კორტრაიკი
ვაასლანდი 4:1 ანტვერპენი
სენტ ჟილი 1:1 ვიგორი
ვირტონი 0:0 რონსე

## ჰოლანდია

ერედივიზიონი
გადადებული მატჩები

ბრედა 1:2 ვალვაიკი
ტილბურგი 1:2 ჰერაკლესი

## ინგლისი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი
პირველი მატჩი

ბლექბერნი 1:1 მანჩესტერი

## შოტლანდია

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი. გადათამაშება

ლივინგსტონი 1:2 ალოა (1:1)

## ესპანეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი

ატლეტიკო 0:1 სარაგოსა

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

ოსასუნა 2:1 *დეპორტივო* (0:3)
*ბეტისი* 0:0 სელტა (1:1)
სევილია 0:0 *კადისი* (2:3)
*ბარსელონა* 6:0 სამორა (3:1)
*ვალენსია* 1:0 ვილიარეალი (2:0)
ესპანიოლი : ხეტაფე (1:0) *გვიან დამთავრდა*

## იტალია

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩები

*რომა* 2:1 ნაპოლი (3:0)
*უდინეზე* 3:1 ატალანტა (0:1)
*სამპდორია* 2:1 კალიარი (1:1)
ბრეშა 3:4 *მილანი* (1:3)

## პორტუგალია

თასის მეთექვსმეტედფინალი

*პარედესი* 3:1 ლაგოა
ტურიზენსე 0:2 *ბენფიკა*
ალუმტრელენსე 0:1 *ოლივეირენსე*
*ლიშა* 1:0 რიბეირაო
პინიალნოვენსე 0:0(პ.4:5) *სეტუბალი*
კოვილია 1:2 *ვილა მეა*
*ნასიონალი* 2:0 ფატიმა
პორტიმონენსე 0:2 *მარიტიმუ*
ლულეტანუ 0:0(პენ.2:3) *აკადემიკა*
*ავეში* 1:1დ.დ.(პენ.5:3, 0:0) ბრაგა
*ბოავიშტა* 3:0 აბრანტეში
სუროპირეში 1:3 *ამადორა*
*სპორტინგი* 2:1 ვიზელა
*გიმარაეში* 4:0 ეშტორილი
ნავალი 1:2 *პორტუ*

## საბერძნეთი

თასის მეოთხედფინალი

ეთნიკოსი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) *აეკ*

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და ვიცე-პრეზიდენტების სამუშაო შეხვედრა შედგა. თავად ის ფაქტი, რომ ქართული ფეხბურთის თავკაცნი ტოპმიოლერის ვიზიტიდან ერთი დღის თავზე შეიკრიბნენ, გვაფიქრებინებდა, რომ საუბარი უპირველესად სანაკრებო საკითხებს შეეხო. კომენტარისთვის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს მივმართეთ...




# იქნებ უცხო იყოს საუცხოო?
## საქართველომ მეკარეზე ტენდერი გამოაცხადა

— შევთანხმდით, რომ ამ შემადგენლობით ჩვენი შეხვედრები კვირაში ერთხელ შედგება. დავსახავთ გარკვეულ გეგმებს, შემდეგ კი ერთმანეთს ანგარიშს ჩავაბარებთ გაწეული მუშაობის შესახებ. ერთ-ერთი საკითხი რომელსაც დღეს შევეხეთ, საქართველოს ნაკრებში, უცხოელი ფეხბურთელის მოწვევას შეეხებოდა. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე მეკარის პოზიცია ერთადერთია, რომელზეც შესაძლოა ნატურალიზებული ფეხბურთელი დაგვჭირდეს. ჩვენი მხრიდან მზად ვართ წავიდეთ ამ ნაბიჯზე, თუ კლაუს ტოპმიოლერი ჩათვლის, რომ არსებული კადრები მოთხოვნებს არ შეესაბამება. მიზანი კი იმდენად სერიოზული გვაქვს, არა მხოლოდ ჩვენ, ხელისუფლებაც მზად არის, ამ საქმეში ყოველმხრივი დახმარება აღმოგვიჩინოს. ახლა ჯერი თავად კლაუს ტოპმიოლერზეა...

...მეორე პრობლემა რომლის თაობაზეც ვიმსჯელეთ, ეროვნული ნაკრების წევრებისა და წევრობის კანდიდატების სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობაა. ფინანსური მოსაზრებიდან გამომდინარე, მენეჯერთა არაპროფესიონალიზმის თუ სხვა მიზეზთა გამო, ქართველი ფეხბურთელები მიდიან უცხოურ კლუბებში და შემდეგ სათადარიგოთა სკამზე სხედან. რა თქმა უნდა, ფეხბურთელს ვერ ავუკრძალავთ ამა თუ იმ გუნდში გადასვლას. ერთ-ერთ შესაძლო გამოსავლად საზოგადოებრივი ფონდის შექმნა მიგვაჩნია. ამ ფონდის მიზანი იქნება, გარკვეული კომპენსაცია გადაუხადოს ფეხბურთელებს, რომლებიც ოჯახური თუ სხვა პრობლემებიდან გამომდინარე იძულებულნი არიან, მეორეხარისხოვან უცხოურ კლუბში სათადარიგოთა შორის ყოფნას დათანხმდნენ. დახმარება მანამ გაგრძელდება, სანამ ნაკრების კანდიდატი ფეხბურთელი მსურველი კლუბიდან არ მიიღებს შეთავაზებას ძირითად შემადგენლობაში ადგილის გარანტიით...

...ვფიქრობთ, ამდაგვარი შეხვედრები მხოლოდ წაადგება ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას.

**გიორგი ნოზაძე**

# ჰოლანდიელები სიონში?
## გია არევაძე: არეულები კი არა, ჩემპიონები გავხდებით

„რაც მოხდა, სამწუხაროა, მაგრამ ამით „სიონის“ მომავალს საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, მეორე წრეში უკეთესი გუნდი გვეყოლება“ — გვითხრა ბოლნისის რაიონის გამგებელმა გია არევაძემ, ვისთან შეხმიანების მთავარი მიზეზიც გუშინწინდელი ამბავი იყო. როგორც იცით, სამართალდამცავმა ორგანოებმა ორთაჭალაში დააკავეს „სიონის“ დირექტორი გიორგი აბაზაძე, რომელსაც ნარკოტიკული ნივთიერება ჰეროინის შენახვა-მოხმარება ბრალდება. ბუნებრივია, გვაინტერესებდა, ხომ არ მოჰყვებოდა ამ ფაქტს „სიონში“ პანიკა, რაც გია არევაძემ გამორიცხა...

— არავითარი პანიკა არაა, ყველა ადამიანს პირადი ცხოვრება აქვს. ის, რაც მოხდა, თავისთავად ცუდი ფაქტია, მაგრამ „სიონის“ ცხოვრება გრძელდება.

**— კლუბის დირექტორი ვინ გახდება?**

— ჯერჯერობით, არ ვიცი.

**— „მადნეულის“ ახალ ხელმძღვანელობას პარტნიორთა კრება უნდა ჩაეტარებინა...**

— ალბათ, თვის ბოლომდე გაიმართება კრება. მჯერა, ისეთი სასიკეთო ძვრები მოხდება „სიონში“, რომ სეზონის ბოლოს პირველ ადგილზე ვიქნებით და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ვითამაშებთ.

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? როგორც ცნობილია, კარგა ხანია, „სიონს“ მხოლოდ რაიონის გამგეობა პატრონობს, „მადნეული“ კი ვერ გეხმარებათ. თანაც კლუბი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა...**

— შარშან „მადნეული“ იყიდებოდა, ბევრი გაუგებრობა იყო და მარტოს გვიწევდა „სიონის“ შენახვა. იმედია, ახლა სხვანაირად იქნება. რაც შეეხება წასულ ფეხბურთელებს, მათ ასე მოისურვეს და ახლა ვერაფერს შევცვლით. სამაგიეროდ, უკვე მოვიყვანეთ რამდენიმე ფეხბურთელი.

სიახლე კი ისაა, რომ „დინამოდან“ ისევ ვინათხოვრეთ გიორგი ქუცურუა და ლევან ხმალაძე, რომლებიც პირველ წრეშიც ჩვენთან თამაშობდნენ.

**— ჯაბა დვალის საკითხი როგორაა?**

— დვალზე ვერ შევთანხმდით „დინამოსთან“. და კიდევ, ორ ჰოლანდიელ ფეხბურთელთან გვაქვს მოლაპარაკება, ოღონდ მათი გვარები არ ვიცი...

**— ეს რეალურია? რომელ კლუბში თამაშობენ და საიდან მიაკვლიეთ მათ?**

— კლუბებზე ვერაფერს გეტყვით. ისე, ჩვენ გვყავს სელექციონერი და დანარჩენი უკვე მოლაპარაკების საკითხია.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართველი ვარსკვლავები ნოსტალგიის ნაკრებში



მალხაზ ასათიანი


კახა კალაძე



ლევან კობიაშვილი



შოთა არველაძე

**რუსული** გამოცემა „სპორტ-ექსპრესი“ საბჭოთა კავშირის ნოსტალგიამ შეიპყრო და...

ბევრს არ გავაგრძელებთ, მოკლედ გეტყვით, რისი თქმაც გვსურს. — „სპორტ-ექსპრესმა“ შეადგინა 2004 და 2005 წლების პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების სიმბოლური ნაკრებები, რომლებშიც სულ ოთხი ქართველი ფეხბურთელი მოხვდა. აქედან ორი 2004-ის სიმბოლურშია, ორიც — 2005-ის, გუნდებს კი ვარსკვლავების ნაკრებები დაარქვეს.

### ვარსკვლავების ნაკრები 2004

ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი, რუსეთი), სმერტინი (ჩელსი, ინგლისი), **ასათიანი** (ლოკომოტივი, რუსეთი), **კალაძე** (მილანი, იტალია), ტიმოშჩუკი (შახტარი, უკრაინა), ალენიჩევი (სპარტაკი, რუსეთი), გლები (შტუტგარტი, გერმანია), ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), შევჩენკო (მილანი, იტალია), სიჩოვი (ლოკომოტივი, რუსეთი), კერჟაკოვი (ზენიტი, რუსეთი)

### ვარსკვლავების ნაკრები 2005

აკინფეევი (ცსკა, რუსეთი), ა. ბერეზუცკი (ცსკა, რუსეთი), გუსინი (კრილია, რუსეთი), **კობიაშვილი** (შალკე, გერმანია), ტიმოშჩუკი (შახტარი, უკრაინა), ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია), გლები (შტუტგარტი, გერმანია — არსენალი, ინგლისი), ჟირკოვი (ცსკა, რუსეთი) შევჩენკო (მილანი, იტალია), არშავინი (ზენიტი, რუსეთი), **არველაძე** (ალკმაარი, ჰოლანდია).

# დინამომ მოსკოვში 5:0 წაიღო


გაჩრი კაკილაძის ფოტო

დინამოელმა ჯაბა დვალმა სოხუმელებს ორი გოლი გაუტანა

**თბილისის** „დინამო“ დღეს მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე სათამაშოდ მიემგზავრება და თან 5:0 მიაქვს. გუშინ თბილისელებმა „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე „სოხუმი“ სწორედ ამ ანგარიშით დაამარცხეს და ტურნირის წინ კარგი განწყობაც შეიქმნეს.

— ამ ეტაპზე გუნდის მომზადების დონით კმაყოფილი ვარ. მოსკოვში ბევრი იუნიორი ფეხბურთელი მიგვყავს, რომლებისთვისაც ესენგეს ტურნირზე თამაში კარგი სკოლა უნდა იყოს. ზოგადად კი ამ ტურნირს მეორე მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ, თუმც ცხადია, კარგ შედეგზე და ლამაზ ფეხბურთზეც ვიფიქრებთ — თქვა თბილისელთა თავკაცმა კახა ცხადაძემ „სოხუმთან“ მატჩის შემდეგ.

# მიქაძემ იარა, იარა და... იაროსლავლი

**რუსულ** პრემიერლიგაში შესაძლოა კიდევ ერთი ქართველი გამოჩნდეს — ლატვიური „მეტალურგსიდან“ წამოსული მცველი ლევან მიქაძე იაროსლავლის „შინიკშია“.

მიქაძემ ლატვიაში ერთადერთი სეზონი დაჰყო, ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ჩემპიონატის ყველაზე საიმედო მცველადაც დაასახელეს და... მოულოდნელად გუნდი დატოვა. მას შემდეგ ბევრგან ვეძიეთ მისი ასავალ-დასავალი და აგერ, „შინიკში“ მივაკვლიეთ.


გაჩრი კაკილაძის ფოტო

იაროსლაველები ისევე, როგორც თითქმის მთელი რუსული პრემიერლიგა, ახლა თურქულ დაბა კადრიეშია შეკრებაზე და მიქაძეც გუნდს იქ ახლავს.

გუშინ კი „შინიკი“ ამხანაგურ მატჩში მასპინძელ „მალათიასფორს“ გაეჯიბრა და 0:2 დამარცხდა, ჩვენებურმა მეორე ტაიმში შეცვლაზე ითამაშა.

მიქაძეს კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია — კლუბის ხელმძღვანელობა იაროსლავლში დაბრუნების შემდეგ აპირებს ახალწვეულებთან ურთიერთობის გარკვევას.

**ბახა შალამბერიძე**

# ბაქოელთა ქართული ალექსანდროული

## რეხვიაშვილმა გოგობერიშვილთან შეუხვია

**აზერბაიჯანელთა** ქართული დესანტი ისევ იზრდება.

საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი და ლატვიური „ვენტსპილსის“ კაპიტანი ალექსანდრე რეხვიაშვილი აზერბაიჯანულ „ბაკიში“ გადავიდა.

მხარეებმა კონტრაქტი უკვე გააფორმეს და ჩვენებურიც პირველივე შეკრებაზე შეუერთდება ახალ კლუბს.

შეგახსენებთ, რომ „ბაკიში“ კიდევ ერთი ქართველი, ალექსანდრე გოგობერიშვილი თამაშობს; ბაკელთა საკუთრებაა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი მერაბ ძოძუაშვილიც, ვინც რიონისპირულ კლუბში განათხოვრებულია.

**ბახა შალამბერიძე**



ალექსანდრე რეხვიაშვილი „ვენტსპილსის“ ქომაგებში ძალიან პოპულარული იყო

# ლევან ცქიტიშვილი მგლებში დაბრუნდა

**ნაახალწლევს** ლევან ცქიტიშვილის „ვოლფსბურგმა“ რამდენიმე ტესტ-მატჩი ჩაატარა და ერთი ტურნირის, „ჰელენ კაპის“ მოგებაც მოასწრო, თუმცა ჩვენიანს არ უთამაშია. ცქიტიშვილს მუხლი აწუხებდა და „მგლების“ ახალი თავკაცი კლაუს აუგენტალერი მის თამაშს ვერ რისკავდა.

გუშინ კი ლევანი მინდორზე გამოჩნდა. „ვოლფსბურგი“ მეორე ბუნდესლიგელ „ზაარბრიუკენს“ „წაეამხანაგურა“ (1:1), ქართველმა ნახევარმცველმა კი შეუცვლელად ითამაშა და პირველ ტაიმში იდეალური საგოლე მომენტიც ჰქონდა, მაგრამ თავური დარტყმა გაუცუდდა.

**ილია ნანობაშვილი**



# დარსანია დაღესტანში და თურქეთში


გაჩრი კაკილაძის ფოტო

კონსტანტინე დარსანიამ „ანჟის“ მიაკითხა

**მახაჩყალის** „ანჟი“ კახა მჟავანაძეს კი დაშორდა, მაგრამ ეს გუნდი ქართველის გარეშე დიდი ხანი მაინც არ დარჩენილა — თბილისის „ამერის“ ყოფილი ნახევარმცველი კონსტანტინე დარსანია დაღესტნელებთან ვარჯიშობს.

რუსეთის პირველდივიზიონელი „ანჟი“ საახალსეზონოდ თურქეთში ემზადება და ჩვენებურიც გუნდს იქ ახლავს. დარსანიამ ამხანაგურ მატჩში თამაშიც მოასწრო — ყაზანის „რუბინის“ დუბლების წინააღმდეგ (2:2) ძირითადში იყო.

რუსული პრესის ცნობით, მახაჩყალელებს ახლა 16 ახალწვეული ჰყავთ და მათი საკითხი თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გაირკვეს.

ცნობისთვის: „ანჟი“ დარსანიასთვის მეორე უცხოური კლუბია, „ამერამდე“ იგი ბულგარულ „ჩერნო მორეში“ თამაშობდა.

**ბახა შალამბერიძე**

# ახალი სახე პორტუგალიაში

**როგორც** იცით, 24 იანვარს პორტუგალიის მთავარქალაქ ლისაბონში ოთხგუნდა ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი VALE DO TEJO იწყება, სადაც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებიც ითამაშებს.

ნაკრების თავკაც კობა ჟორჟიკაშვილს 22 ფეხბურთელი კი ჰყავდა შეგულებული, თუმცა თბილისის „ამერის“ ნახევარმცველმა გიორგი ნიკოლაიშვილმა ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონი 2“-ის მცველ გიორგი ხუმარაშვილს წაიყვანს.

**ლუკა თალაკვაძე**

## თქვენი ინტერვიუ

## კლაუს ტოპმიოლერთან

*თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.*

*კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.*

*იაქტიურეთ!*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა მჟავანაძეს არ უსტვენენ

## იღბალი, ტოპმიოლერი და ევროპაზეც გავალთ



ვაჩრი კოთოლიანის ფოტო

**საქართველოს** ნაკრების მარჯვენა მცველ კახა მჟავანაძეს ნაკრებში თამაშისას გულშემატკივრები ბევრს აკრიტიკებდნენ და გუნდის უსუსტეს წერტილად თვლიდნენ, მწვრთნელები კი, ალენ ჟირესიდან დაწყებული, გაიოზ დარსაძით დამთავრებული, მას ენდობოდნენ. არ ვიცით, კლაუს ტოპმიოლერის ხელში როგორ აეწყობა მჟავანაძის საქმეები, მაგრამ წესით, კახას ბედი უკუღმა არ უნდა შებრუნდეს — ის ახლა გაცილებით ძლიერ კლუბში გადავიდა, დაღესტნური „ანჟიდან“ ოდესის „ჩერნომორეცს“ მიაშურა და უკრაინის ჩემპიონატის მესამედგილოსანთა მთავარი მწვრთნელი სიმიონ ალტმანი ქართველს სხვა ახალწვეულებზე წინ აყენებს.

„სეზონის ბოლოს „ანჟის“ ქომაგებმა ლამის ყველა ფეხბურთელი გამაყრუებელი სტვენით გააცილეს, მჟავანაძისთვის კი ტაში არ დაუშურებიათ“ — ეს უკრაინული მედიის სიტყვებია. უკრაინულმა „სპორტ-ექსპრესმა“ კახა მჟავანაძესთან საინტერესო ინტერვიუ ჩაწერა, სადაც ჩვენებურს კლაუს ტოპმიოლერზეც ეკითხებიან.

ქართველი მცველი ამბობს, „ჩერნომორეცი“ სწრაფად პროგრესირებადი გუნდია, „ანჟის“ კი მძიმე პერიოდი ედგა და იმედია, მახაჩყალელი ქომაგები გამიგებენ, თუ რატომ დავტოვე დაღესტანი.

„მახაჩყალელი გულშემატკივრები ინტერნეტის საშუალებითაც კი მთხოვდნენ დარჩენას. არ მინდა, ვთქვა, თითქოს „ანჟის“ მომავალი არ აქვს, მაგრამ იქ საკადრო ცვლილებები მიმდინარეობდა, მე კი უფრო ძლიერ გუნდში და ძლიერ ჩემპიონატში თამაში მინდოდა. სხვა თუ არაფერი, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ვარ, ბოლო ხანს სისტემატურად მიძახებდნენ და მათამაშებდნენ“.

მჟავანაძე ამბობს, ოდესა ძალიან მომწონს და რომელ ადაპტაციაზეა ლაპარაკი, როცა მეც ზღვისპირა ქალაქ ბათუმში დავიბადე და გავიზარდეო. რაც შეეხება გუნდთან შეგუებას, კახას „ჩერნომორეცის“ მეორე ქართველის, ილია კანდელაკის იმედი აქვს — იგი საქართველოს ნაკრების მიერ ნოემბერში გამართული ამხანაგური მატჩებისას გავიცანი და მიხარია, რომ კანდელაკი კლუბში დაფასებული ფეხბურთელიაო.

„უნივერსალურ ფეხბურთელად ვთვლი თავს. მოსკოვის „სპარტაკში“ სტოპერი ვიყავი, „ანჟიში“ მარცხენა მცველად და საყრდენ ნახევარმცველადაც მითამაშია, თუმც ჩემი საყვარელი პოზიცია დაცვის მარჯვენა ფლანგია. ამ ამპლუელთაგან ჩემი საყვარელი ფეხბურთელი გელა კეტაშვილი იყო, თანამედროვეებიდან კი მადრიდის „რეალის“ მიჩელ სალგადოს გამოვარჩევ. რაც შეეხება პლანეტის უძლიერეს ფეხბურთელს, რონალდინიო უკონკურენციოა“.

„ჩერნომორეცის“ ქართველი ახალწვეული კითხვაზე, კლაუს ტოპმიოლერს მართლა შეუძლია საქართველოს ნაკრების 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანაო, პასუხობს:

„რატომაც არა, კარგი ფეხბურთელები გვყავს, ბრწყინვალე მწვრთნელიც დაგვინიშნეს და თუ შესარჩევი ჯგუფის კენჭისყრაშიც გაგვიმართლებს, შესაძლოა, ოცნება ავიხდინოთ“.

**ილია ნანობაშვილი**



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარცხნივ) „ტავრიაშია“

# ამისულაშვილი ფომენკომ ალუშტაში წაიყვანა

**ალეკო** ამისულაშვილი კიევის „დინამოს“ ეკუთვნოდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ უკრაინულ გრანდში მას ფეხის მოკიდების შანსი, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ამისულაშვილმა უკვე იპოვნა ახალი კლუბი —, სიმფეროპოლის „ტავრია“. მართალია, ქართველ მცველს ყირიმელებთან ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ არც არაფერი უკლია.

23 წლის ამისულაშვილი „ტავრიას“ შეკრებაზე გაჰყვა ალუშტაში, შემდეგ კი თურქეთშიც მოუწევს ორი შეკრების გავლა. სიმფეროპოლელებს გასინჯვაზე დაახლოებით 20 ფეხბურთელი ჰყავთ, თუმც ოთხ მათგანს ალბათ უპრობლემოდ გაუფორმებენ კონტრაქტს და მათ შორისაა ამისულაშვილიც.

აქვე ვთქვათ, რომ „ტავრია“ უკრაინის პირველი ჩემპიონია (1991 წელს), მას ახლა ქართველთათვის კარგად ნაცნობი მიხეილ ფომენკო წვრთნის, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს ლანჩხუთის „გურიას“ თავკაცობდა და რა ფურორიც მოახდინეს მაშინ გურულებმა, შეხსენება არ გჭირდებათ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ოლეგ ბლოხინს აღარ ვინატრებთ

## ჯაკობიამ დარსაძე დანიშვნისთანავე მოხსნა

**ხარკოვი** უკრაინული მასშტაბით დომინანტი საფეხბურთო ქალაქი არასოდეს ყოფილა, მაგრამ გულს უხარია, როდესაც უცხო ქვეყნის ქალაქში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი ქართველია — ლაშა ჯაკობია „მეტალისტის“ კაპიტანი და ლიდერია.

ლაშას იმდენი გოლი ვერ გაუტანია, უკრაინა გააოცოს, მაგრამ ხარკოველ ფანთა არცთუ მომცრო ნაწილი სწორედ ჯაკობიას სანახავად დადის სტადიონზე: ეს ჩვენი სიტყვები არ არის: უკრაინულმა ჟურნალმა „ფუტბოლმა“ 25 წლის ფორვარდს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. ოღონდ ერთი შეხსენება — ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრებთან კონტრაქტამდეა დაბეჭდილი.

ლაშა ჯაკობია „ფუტბოლს“ თავის ბავშობაზე უყვება, როგორ აგორებდა ბურთს „მაისში“ და შემდეგ, სიჭაბუკისას (16 წლისა), ლიეჟის „სტანდარდის“ დუბლებში რომ აიყვანეს.

„მას შემდეგ გაეწამდი, სულ ტრავმები მაწუხებდა. 18 წლისა უკვე „სტანდარდის“ ძირითად გუნდში ვვარჯიშობდი. ჩემ გარდა, ხუთი ძლიერი ფორვარდი ჰყავდათ, მაგრამ თუ კონკურენცია შენს საფეხბურთო კარიერას ეხმარება, ტრავმა — პირიქით“.

ჯაკობიამ „სტანდარდის“ შემდეგ ბევრი კლუბი გამოიცვალა და, როგორც იქნა, იპოვა „მეტალისტი“, სადაც არ დათარსულა — ტრავმები აღარ აწუხებს. ლაშა ახლა ხარკოველებთან ერთად შეკრებაზეა, არადა, ორიოდ კვირის წინ გუნდიდან წასვლას აპირებდა.

„მქონდა შეთავაზება დონეცკის „მეტალურგიდან“, მაგრამ მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა მირჩია, დავრჩენილიყავი. ესეც რომ არა, „მეტალისტი“ ჩემი გუნდია, აქაურობა მიყვარს და ასე იოლად ვერ მივატოვებ. მარკევიჩმა ბოლო მატჩებში თუ გამაკრიტიკა, მართალიც იყო: იგი მწვრთნელია და უკეთესად ხედავს. მეც ვატყობ, რომ ბოლოს ისეთი შედეგიანი აღარ ვიყავი“ — თვითკრიტიკულია ჯაკობია.

„მეტალისტის“ კაპიტანს გაიოზ დარსაძის დროინდელ საქართველოს ნაკრებზეც ეკითხებიან, მწვრთნელი რატომ არ გიძახებდაო. ლაშა არ მალავს, რომ დარსაძესთან კონფლიქტი ჰქონდა და ჯერ კიდევ მისი ნაკრებში გამწვრთნელებისთანავე უთქვამს, მალე გაუშვებენო.

„ბულგარეთთან და იორდანიასთან მატჩებისთვის დარსაძემ დამაფასა, ნაკრებში სადებიუტო გოლიც გავიტანე, მაგრამ მანამდეც ვიმსახურებდი გამოძახებას. ამდენი წელია, საქართველოს ნაკრები რატომღაც ვერ აჩვენებს მაღალ შედეგს და ეს ჩემთვისაც გამოცანაა. ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ...“

„ფუტბოლი“ ჯაკობიას უკრაინის ნაკრებზეც ეკითხება და ქართველი თავდამსხმელიც პასუხობს, თქვენი ნაკრების მუნდიალზე გასვლა, პირველ რიგში, ოლეგ ბლოხინის დამსახურებააო: „ბლოხინმა მებრძოლი გუნდი შექმნა, თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, რა როგორ გააკეთოს. შევჩენკო და ვორონინი კი ბრწყინვალე მოთამაშეები არიან. ნეტავ, საქართველოს ნაკრებშიც გვყავდეს ბლოხინის დარი სპეციალისტი...“

ლაშა ჯაკობიამ მაშინ არ იცოდა, ახლა კი იცის, რომ საქართველოს ნაკრებს ბლოხინი აღარ ჰყავს სანატრელი...

**ილია ნანობაშვილი**



ვაჩრი კოთოლიანის ფოტო

# ყვითლები თეთრზე წითლით

## ამერი ბაკურიანში ჩაეფლო



**თბილისის** „ამერს“ ბაკურიანში მაშინ ვესტუმრეთ, როცა გუნდს დილის ვარჯიში მუხლებამდე თოვლში ახალდაწყებული ჰქონდა..

— კმაყოფილი ხართ?

„ამერის“ ფიზმომზადების მწვრთნელი ოლეგ კასოევი სავარჯიშო ალაგის განაპირას იდგა და პირველადაც მას მივესალმეთ.

— კი, ყველაფერი კარგადაა, თოვლი, სუფთა ჰაერი, ბიჭები ჯანმრთელად არიან...

კმაყოფილი იყო ფიზმომზადების მწვრთნელი.

მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ კი ამასობაში გუნდი შემოიკრიბა, გარკვეული დავალება მისცა და წითელ ბურთს ფეხიც ამოსცხო, რვა-რვაზე ხელბურთი გაჩაღდა, გოლი მხოლოდ თავურით ითვლებოდა. მოგებულ-წაგებულს, აბა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ფეხბურთელებს ჟინი და აზარტი არ აკლდათ და თითოეული გოლიც საფინალოსავით უხაროდათ. თუმცა აზარტი მაშინ უნდა გენახათ, როცა იმავე შემადგენლობებმა ფეხბურთი გააჩაღეს. „მეტოქეებმა“ ჯერ, პირობითად, ეროვნული ჩემპიონატი მოილიეს, მერე ევროთასი და მესამე მატჩი უკვე სუპერთასისა იყო.

მოედანზე თოვლი ნელ-ნელა იტკეპნებოდა და ეშხიც მატულობდა. ისე, ირგვლივ იმხელა თოვლი იყო, ბურთი სათამაშო ზონას რომ გასცდებოდა, ისე ეფლობოდა, ფერის მიუხედავად, მახვილი თვალითაც არ ჩანდა. თუმცა მეორე ბურთიც იქვე იყო და თამაში წუთითაც არ შეწყვეტილა. წუთმა მოიტანა და ფეხბურთელები თამაშიდან ერთწუთიან გაძევებას კი ბევრჯერ გადაურჩნენ. ამერული წესი ყოფილა: ყოველი უხამსი სიტყვა ერთწუთიანი გაძევებით ისჯება, ხოლო ბილწსიტყვაობა 20-ლარიანი ჯარიმით. ერთ ფეხბურთელს თამაშისას უწმაწური სიტყვა ენაზეც ჰქონდა, მაგრამ წამშივე წესი გაახსენდა და სათქმელიც მაშინვე „გადააკულტურა“ — ხალისობენ ფეხბურთელები.

— კოორდინაცია, წინააღმდეგობის დაძლევის უნარი, ფუნქციონალური მომზადება... ბაკურიანული შეკრება გუნდისთვის ძალიან სასარგებლო და აუცილებელია — კარს უკან მდგარ „ამერის“ ექიმს, ზურაბ ლომინაძეს გამოველაპარაკეთ.

— კი მაგრამ, ამხელა თოვლში ტრავმიანობის რისკიც ხომ მეტია?

ექიმს ამას არც ვკითხავდი, მაგრამ წუთის წინ „ამერის“ ახალწვეული გრიგოლ დოლიძე გოლის გასატანად კარის წინ გასრიალდა და თოვლში ჩაფლულ ქვაზე ფეხი იტკინა.

— რისკისა რა გითხრათ, ტრავმა ზაფხულ-ზამთარ სულ მოსალოდნელია. ისე კი, გუშინ ტყეში სირბილისას ვასილ ლუჭაშვილსა და ჯაბა ბერიანიძეს ფეხი გადაუბრუნდათ და ახლა მსუბუქად ვარჯიშობენ...

ერთი ხუთწუთიანი ტაიმიც და, ვამთავრებთ — გასძახა გიორგი ჩიხრაძემ შეგირდებს და სუპერფინალის ბოლოც დაიწყო. გოლები ბევრი ვნახეთ, ერთ-ორ ეპიზოდში უხეშობაც იყო და საქმეში ზურაბ ლომინაძის ჩარევაც გახდა საჭირო, მაგრამ სანერვიულო არაფერი ყოფილა — ესეც ფეხბურთია. მერე მწვრთნელმა გუნდს მადლობა გადაუხადა და უთხრა, სასტუმრომდე ძუნძულით ჩავირბინოთო. ბაკურიანი ხომ დამსვენებლებით სავსეა და ნაცნობ-მეგობრებსაც გზად, აბა, რა გამოლევდა, თუმცა სალამი და ნახვამდის ერთი იყო, რამდენიმე წუთში გუნდი უკვე სასტუმრო „თბილისში“ სადილობდა.

— დაიღალე?

ვეკითხები „ამერში“ ახლახან გადასულ თენგიზ ჩიკვილაძეს.

— ისე რა. დატვირთვა საშუალოზე მეტია, მაგრამ ისეთი არა, რომ ვერ გავუძლო.

— კმაყოფილი ხარ?

— ყველაფერი კარგადაა, შემართებით ვემზადებით...

— ახალ გუნდს როგორ შეეგუე?

— პრობლემა არაფერია. ნახევარ გუნდს აქამდეც კარგად ვიცნობდი. რაჭველი გვაკლდა და ისიც დავიმატეთო, ხუმრობენ ბიჭები.

— თამაშისას რაჭველობისა კი არაფერი გეტყობა, დღესაც თოვლში ისე დარბოდი...

— ხანდახან თამაშის დროსაც საჭიროა რაჭველობა, სიდინჯით, შეიძლება, ბევრი მოიგო.

თენგიზ ჩიკვილაძის შემდეგ მეორე ახალწვეული გრიგოლ დოლიძე შევაყოვნე.

— წეღან ფეხი იტკინე და ახლა როგორ ხარ?

— სერიოზული არაფერია, გაміარა. იმ წუთში კი ფეხი ძალიან მეტკინა.

— საქართველოს ჩემპიონატი, ევროთასი, სუპერთასიო — დღევანდელი ვარჯიშისას ხშირად ისმოდა. ეს რას ნიშნავს?

— არაფერს. ყოველ ორმხრივ თამაშს თავის სახელს ვარქმევთ, სტიმული გვემატება და უფრო ჯიგრიანად ვთამაშობთ. დღეს ყველაფერი ჩემმა გუნდმა მოიგო.

— ყოველთვის ერთი შემადგენლობით თამაშობთ ხოლმე?

— არა, ვიცვლებით, მაგრამ მე და ბოლქვაძე თითქმის ყოველთვის ერთ გუნდში ვართ და ვიგებთ.

— არ წაგიგიათ?

— კი, მაგრამ უფრო ხშირად ჩვენი გუნდი იგებს.

— თოვლში თამაში როგორია?

— ფეხბურთელს ესეც უნდა შეეძლოს. ძალიან ძნელია, მაგრამ აქ უკვე შევეჩვიე.

— ძალიან დამღლელია, არა?

— ძალიან, თუმცა უამისოდ არ იქნება. მოსამზადებელი ეტაპია და უნდა დაიღალო...

იქვე დავით ბოლქვაძეც გამოჩნდა.

— მე და შენ ყველაფერი რომ მოვიგეთ, ის ვუთხარი — მიუბრუნდა გრიგოლ დოლიძე თანაგუნდელს.

— დღეს მართლა ყველაფერი მოვიგეთ — გააგრძელა დავით ბოლქვაძემ. „ამერში“ გადასულმა კიდევ ერთმა ყოფილმა სიონელმა.

— ისე, გეტყობა, უკვე ფორმაში ხარ...

— ჯერ ადრეა, ყველა ნელ-ნელა ვუმატებთ.

— ბაკურიანულ დატვირთვებს იოლად უძლებ?

— ყოველ შემთხვევაში, არ მიჭირს. მთავარია, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ ვიყო სასურველ ფორმაში. ერთი სული მაქვს, ჩემპიონატი როდის განახლდება...

— თუ ერთი სული გაქვს, მოსამზადებელი პერიოდი როდის დამთავრდება?

— არა, მართლა მოუთმენლად ველი ჩემპიონატს, მსურს, რომ ჩვენი შესაძლებლობები დავამტკიცოთ, რისიც ბევრს არ სჯერა. მე კი მჯერა, რომ კარგი გუნდი გვყავს და უეფას თასის საგზურის მოპოვება შეგვიძლია. ეს სეზონი „ამერისთვის“ წარმატებული იქნება.

— ახალ გუნდს როგორ შეეწყვე?

— კარგად. ადაპტაცია არ გამჭირვებია. თავს უკვე შინაურად ვგრძნობ.

— „ამერში“ სამი ყოფილი ზოლნისელი ერთად მიხვედით, რაიმე ახალი მიიტანეთ?

— რა გითხრათ... ჩვენ „ამერში“ ხალისით მოვედით და გუნდიც ასე დაგვხვდა.

მერე, სასტუმროში, „ამერის“ სართულზე წყნარი საათი გამოცხადდა, გუნდმა დაისვენა, ვარჯიში კი საღამოს, დარბაზში გაგრძელდებოდა...

**კობა ინასარიძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**



გიორგი ჩიხრაძე



ეს ის მომენტია, გრიგოლ დოლიძემ მცირე ტრავმა რომ მიიღო



ლადო ნადირაშვილი სულიკო დავითაშვილის წინააღმდეგ „სუპერფინალში“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კონა შვიდ მილიონად
## ჩელსის უმცროსი ძმა



ჰარი რედნაპი სასურველ ფეხბურთელებს გადაიყვანს

ᲘᲡᲔᲗᲘ რია-რიაა „პორტსმუთში“, რომ კლუბის თანამშრომლები ერთმანეთს ეჯახებიან. საპორტო ქალაქის გუნდს სანტა-კლაუსმა ალექსანდრ გაიდამაკი „გაუგზავნა“ — 30 წლის მილიონერი, რომელმაც აქციათა გვარიანი წილი შეიძინა და მილან მანდარიჩთან ერთად კლუბის თანამფლობელი გახდა.

გაიდამაკი ფულის გარდა პასპორტებსაც „აგროვებს“. მას რუსეთის, ისრაელის, კანადისა და... ანგოლის პასპორტიც კი აქვს. მანდარიჩის მოწილე „პორტსმუთის“ მოსაფერიანებლად 100 მილიონი გირვანქის დახარჯვას აპირებს. რომან აბრამოვიჩს ვერ გაეჯიბრება, მაგრამ იმას კი მოაკვარახჭინებს, რომ ზღვისპირული გუნდი პრემიერლიგიდან გავარდნისგან იხსნას.

ჰოდა, ალექსანდრ გაიდამაკის ფულით შეგულიანებული „პორტსმუთის“ მწვრთნელი ჰარი რედნაპი, იანვრის „ბაზარზე“ ფეხბურთელების შეძენას შეუდგა. „პორტსმუთის“ მაისურაში მან უკვე გამოაწყო ოსერელი ბენჟამინ მვარუვარი და პანათინაიკოსელი ემანუელ ოლისადებე. ორი ფორვარდი „მოაყუჩა“, მაგრამ მესამის გადაბირებასაც ეშურება — 29 წლის ნორვეგიელი, „ვოლერენგას“ მეგოლე სტეფენ ივერსენი ამჟამად „პორტსმუთში“ ვარჯიშობს. შესაძლოა, ისიც მვარუვარის თანაგუნდელი გახდეს.

ქვეყნის გარედან ხომ მიიყვანა ფეხბურთელები რედნაპმა, ახლა პრემიერლიგელებს „დაერია“. მას სურს, რომ „ტოტენჰემს“ უქმად მყოფი სამი ფეხბურთელი წაჰგვაროს — პედრუ მენდეში, შონ დევისი და ნოე პამარო. ეს სამეული შვიდ მილიონ გირვანქადაა შეფასებული. შარშანდელ სეზონში მათ არა უშავდათ, მაგრამ ამ შემოდგომაზე სათადარიგოთა სკამის „მხედვნი“ გახდნენ და „ტოტენჰემი“ მათ ალბათ შეელევა.

პორტსმუთელებს თვალი „ჩელსის“ მცველ გლენ ჯონსონისთვისაც დაუდგამთ, რომელიც აბრამოვიჩს კლაუდიო რანიერიმ აყიდინა, მაგრამ ჟოზე მაურინიუს ხელში ვერ გაიბრწყინა. მილან მანდარიჩი მაურინიუსთან მცველის თაობაზე შეხვედრას აპირებს.

ერთი სიტყვით, ასეა — ალექსანდრ გაიდამაკი ფულს ჯერჯერობით არ იშურებს და „პორტსმუთიც“ პრემიერლიგაში ადგილს ალბათ შეინარჩუნებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ამოროზო იტალიაში დააბრუნეს
## მილანმა ვაკანსია შეავსო

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის“ თავდასხმაში, კრისტიან ვიერის წასვლის შემდეგ გამოთავისუფლებულ ადგილს მარსიო ამოროზო შეავსებს. ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია. ბრაზილიელი ფორვარდი გუშინ „მილანში“ კონტრაქტის პირობებს ათანხმებდა. არადა, ორი დღის წინ მისმა აგენტმა ამოროზოს „სან სიროზე“ გადასვლა გამორიცხა.



მარსიო ამოროზო

31 წლის თავდამსხმელი „მილანში“ 2007 წლის 30 ივნისამდე დარჩება, ხოლო მისი ჯამაგირი სეზონში 2,5 მილიონი ევრო იქნება. ამოროზო „რომასთან“ თამაშს ალბათ ვერ მოასწრებს, მაგრამ მომავალ ტურში „ასკოლის“ წინააღმდეგ შესაძლოა, უკვე მინდორზე ვიხილოთ.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელს სერია A-ში თამაშის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. საუკეთესო წლები მან „უდინეზეში“ გაატარა (1996-99), სადაც თავის ბოლო სეზონში 33 მატჩში 22 გოლი შეაგდო და „პარმას“ მიაშურა. „ენიო ტარდინიზე“ მისი თამაში არც ისე ეფექტური გამოდგა და ორ წელიწადში ბრაზილიელმა აპენინები დატოვა.

იტალიიდან წასული მარსიო ამოროზო გერმანულ „დორტმუნდში“ აღმოჩნდა და იქაც საკმაოდ წარმატებით ითამაშა, მაგრამ ბოლოს ტრავმებმა შეაწუხა და ესპანურ „მალაგაში“ ამოჰყო თავი, სადაც ვერ გაიბრწყინა და ევროპაში მოგზაურობას, სამშობლოში დაბრუნება არჩია. ამოროზოც „სან პაულუში“ ჩაირიცხა და კლუბთან ერთად ჯერ ლიბერტადორესის თასი დაისაკუთრა, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ კი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატიც მოიგო.

როგორც ჩანს, მისი ეს წარმატება და ძველებურად კარგი თამაში უყურადღებოდ არ დარჩენია „მილანის“ სკაუტ ლეონარდოს და...

**კოკი კანდელაკი**

# ბარსელონა ეტოოს გარეშე



სამუელ ეტოოს შემცვლელები „ბარსელონას“ ჰყოლია

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ დღეც და კამერუნელი სამუელ ეტოო „ბარსელონას“ დატოვებს, რათა მშობლიურ ნაკრებს აფრიკის ერონებათა თასზე დაეხმაროს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კატალონიელები გოლზე დაგეშილ ფორვარდს პრიმერადივიზიონის ზედიზედ ოთხ და ამდენივე რაოდენობის სათასო მატჩში მოისაკლისებენ.

„ცუდია, რომ ეტოოს აფრიკაში წასვლა უწევს. სამუელი მეკარეთა ნამდვილი რისხვაა და მისი მოედანზე უბრალოდ გამოჩენა კი მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს სცემს, თუმც „ბარსა“ დიდი გუნდია და გარკვეული დროის განმავლობაში კამერუნელის შემცვლელის მოძებნა არ გაგვიჭირდება — განუცხადა „მარკას“ ფრანკ რაიკარდმა, კატალონიური გრანდის მწვრთნელმა.

სამუელ ეტოოს სავარაუდოდ, შვედი ჰენრიკ ლარსონი და ან არგენტინელი მაქსი ლოპესი შეცვლიან, წასვლამდე კი „ბარსას“ ძირითადი ფორვარდი ბილბაოს „ატლეტიკთან“ ითამაშებს 15 იანვარს.

**ლადო ხომერიკი**



კრისტიან ვიერის „მონაკოში“ სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდება

# ნუ მოსთხოვთ ვიერის სასწაულს

ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ, ფრანგულმა „მონაკომ“ უკვე ორი იტალიელი ფორვარდით გაძლიერება მოასწრო. გასაკვირი არც არის, რომ „ლუი II“-ს ბინადართა აპენინელი თავკაცი ფრანჩესკო გვიდოლინი უპირატესობას თავის თანამემამულეებს ანიჭებს. ამჟამად „მონაკო“ სატრანსფერო ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გუნდია და გამორიცხული არ არის, მალე კიდევ რამდენიმე მოთამაშე დაიმატოს.

იქამდე კი გვიდოლინს ახალ შენაძენებზე და მომავალ გეგმებზე სთხოვეს კომენტარი. აქცენტი, ცხადია, კრისტიან ვიერიზეა გადატანილი. როგორც ჩანს, „ბოლონიასა“ და „პარმას“ ყოფილი მწვრთნელი „ბობოზე“ დიდ იმედებს ამყარებს. თუმც ირწმუნება, ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის აქვსო.

„კრისტიანს რეგულარულად თამაში და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა უნდა. „მონაკოში“ მას ყველა პირობა ექნება და იმედია, თავს გამოიჩენს. ჩვენც სწორედ მისი დარი ფორვარდი გვჭირდებოდა და ამ ტრანსფერით ძალიან გახარებული ვარ. თუმც ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არავის ექნება, იგი ყველამ უნდა მოიპოვოს“ — თქვა გვიდოლინმა.

„მონაკოს“ თავკაცმა ქომაგებს სთხოვა, ცოტა მოითმინონ, მათ შორის ვიერის საკითხშიც. ადაპტაციისთვის ყველას დრო სჭირდება და მართალია, კრისტიანი ძალიან გამოცდილია და ამგვარი პრობლემები არ ექმნება ხოლმე, მაგრამ თავიდანვე სასწაულებს ნუ მოვთხოვთო.

ბოლოს კი გვიდოლინი ისევ ვიერის ქებას მოჰყვა: „კრისტიანმა უპირატესობა რეგულარულ თამაშს მიანიჭა. მას შეეძლო, „მილანში“ დარჩენილიყო, მაგრამ კონტრაქტი გაწყვიტა და დაგვანახა, რომ ისევ მოტივირებულია“.

**კოკი კანდელაკი**

# გრავესენი კინია?

ᲓᲐᲜᲘᲣᲠᲘ ტაბლოიდის, „ეკსტრა ბლადეტის“ ცნობით, თომას გრავესენის თაობაზე მადრიდის „რეალს“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა. მოკლედ, მანჩესტერელებს დანიელი ნახევარმცველი სდომებიათ.



თომას გრავესენი

„ეკსტრა ბლადეტი“ გვამცნობს, რომ ალექს ფერგიუსონმა ხოტორა ფეხბურთელის სანაცვლოდ მადრიდელებს 4,59 მილიონი დოლარი შესთავაზა და ვარაუდობს, რომ ის მოედნის შუაში როი კინს შეუცვლის, თუმცა იმავ გაზეთის მტკიცებით, „სამეფო გუნდი“ 5 მილიონს ითხოვს და ფასის დაკლებას არ ყაბულდება.

„ახლა ბურთი მანჩესტერელთა ნახევარზეა — უთხრა თანამემამულე ჟურნალისტებს თავად გრავესენმა — გადაწყვეტილება მათ უნდა მიიღონ, მე კი არა. ერთხელ და საბოლოოდ უნდა გაარკვიონ, ვუნდივარ თუ არა“.

შეგახსენებთ, რომ 29 წლის მოთამაშე „რეალში“ 4,68 მილიონ დოლარად ზუსტად ერთი წლის წინ, „ევერტონიდან“ გადავიდა. ვიდრე მადრიდულ გუნდს ბრაზილიელი ვანდერლეი ლუშემბურგო წვრთნიდა, დანიელი ნახევარმცველი ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო, ხოლო მას მერე, რაც ლუშემბურგოს საქმე ხუან რამონ ლოპეს კაროს გადააბარეს, გრავესენის ადგილი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაკარგულია.

ბოლოს გეტყვით, რომ გრავესენს „რეალთან“ 2008 წლამდე აქვს კონტრაქტი.

**პაპუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა




**გერმანული** „ბაიერნის“ ლიდერ მიხაელ ბალაკის აგენტმა მიხაელ ბეკერმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ტურინის „იუვენტუსთან“ არანაირი შეთანხმება არ არსებობს. „სიახლეები ჯერჯერობით არ არის, თორემ თავადაც გაუწყებდით. ამ საკითხს ძალიან ყურადღებით ვეკიდებით, რადგანაც მიხაელის მომავალი კონტრაქტი უმნიშვნელოვანესი იქნება მის კარიერაში“ — თქვა ბეკერმა.

**მალტის** ნაკრების ახალი თავკაცი ჩეხი სპეციალისტი დუშან ფიტცელი იქნება. იგი პოსტს უახლოეს მომავალში ჩაიბარებს. ფიტცელის თქმით, მას ახალგაზრდა და პერსპექტიულ ფეხბურთელებთან მუშაობის პერსპექტივა ხიბლავს. იგი აქამდე ჩეხეთის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა.

**არგენტინელმა** ფორვარდმა ერნან კრესპომ აღნიშნა, რომ სეზონის ბოლოს მას იტალიაში დაბრუნება სურს. „ჩვენ უკვე მოვიგეთ „ჩარითი შილდი“, პრემიერლიგაში დიდი უპირატესობით ვლიდერობთ, გვყავს მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი, მაგრამ ცხოვრება მხოლოდ ფეხბურთისგან არ შედგება. ლონდონში გადმოსვლით ყველაფერი დავკარგე — მეგობრები, თეატრი, კინო... ამიტომ იტალიაში დაბრუნება მინდა“ — განაცხადა „ჩელსის“ 30 წლის თავდამსხმელმა.

**ესპანური** „ბეტისის“ თავდამსხმელი რიკარდო ოლივეირა მომავალ ზაფხულს ალბათ სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას „ფლამენგოში“ ან „სან პაულუში“ გააგრძელებს. სევილიურ კლუბს არაევროკავშირელ ფეხბურთელთა ლიმიტი უკვე შევსებული აქვს და გავრცელებული ცნობით, კლუბში ოლივეირას ადგილი აღარ არის. თავად ფეხბურთელი ამჟამად მუხლის მძიმე ტრავმას მკურნალობს.

**რუსულ** „დინამოს“ სამ დღეში ორი ფორვარდი დაუშავდა, მაგრამ ტრავმები არც ისე სერიოზულია. დმიტრი ბულიკინიც და დერლეი სილვაც კლუბთან ერთად ვარჯიშს უახლოეს დღეებში განაახლებენ. შეგახსენებთ, რომ დედაქალაქელები ამჟამად ლისაბონში იმყოფებიან შეკრებაზე.

**იტალიური** „ინტერი“ შესაძლოა, „უდინეზეს“ თავდამსხმელ დავიდე დი მიკელეთი გაძლიერდეს. მილანელებს შეტევის გაძლიერება სურთ და სასურველ კანდიდატს ეძებენ. 30 წლის დი მიკელე კი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია სერია A-ში. გავრცელებული ცნობით, „ნეროაძური“ „ფრიულის“ ბინადრებს გარკვეულ თანხასთან ერთად პიერ ვომესაც სთავაზობს.

**არგენტინული** „რივერ პლეიტის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი რეინალდო მერლომ დატოვა და ამიერიდან პატაგონიურ გრანდს დანიელ პასარელა უთავკაცებს. მერლოს წასვლის მიზეზი „რივერის“ ბოლოდროინდელი არადამაჯერებელი თამაში და ფეხბურთელების მისდამი უნდობლობა გახლდათ. საინტერესოა, რომ პასარელა მშობლიურ კლუბს ადრეც ედგა სათავეში და 1989 წელსაც მან მთავარი მწვრთნელის პოსტზე მერლო შეცვალა.

**გერმანული** კლუბები თურმე სპონსორებისგან ყველაზე მეტ ფულს, საშუალო მაჩვენებლით სეზონში 5,1 მილიონ ევროს იღებენ, იტალიურები 3,71 მილიონს, ინგლისურები 3,16 მილიონს, ფრანგულები 2,48 მილიონს, ხოლო ესპანურები 1,92 მილიონს. ცალკეულ კლუბებს რაც შეეხებათ, აქ ტურინის „იუვენტუსი“ უკონკურენტოა. ცნობილი ნავთობკომპანია **TAMOIL** „ბებერ ქალბატონს“ ყოველწლიურად 22 მილიონ ევროს უხდის. მეორე ადგილზე „ბაიერნია“, რომელიც **T-COM**-ისგან სეზონში 17 მილიონს იღებს.

**ინგლისური** „ლივერპული“ გენუის „სამპდორიას“ მცველ აიმო დიანათი დაინტერესდა. მერსისაიდელთა თავკაც რაფაელ ბენიტესს დაცვის უფრო გაძლიერება განუზრახავს. როგორც ამბობენ, 27 წლის იტალიელს „მილანიც“ უტრიალებს, რომელსაც დაცვაში პრობლემები აქვს.

**კონგოელი** ფორვარდი შაბანი ნონდა ეროვნულ ნაკრებს მომავალ აფრიკის თასზე ვერ დაეხმარება. მოგეხსენებათ, „შავი კონტინენტის“ პირველობა სტარტს 20 იანვარს ეგვიპტეში იღებს. 28 წლის ნონდა კვლავ მუხლის ტრავმას მკურნალობს და მისი კლუბის, „რომას“ ექიმები ჯერ ზუსტად ვერ ამბობენ, როდის ჩადგება მწყობრში.

**გერმანული** „ჰამბურგის“ კამერუნელი მცველი ტიმოტი ატუბა აფრიკის თასზე გაემგზავრება. თავიდან იგი ნაკრების თავკაცთან, არტურ ჟორჟესთან უთანხმოების გამო ეგვიპტეში წასვლაზე უარს აცხადებდა, თუმცა კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნამ გაჭრა და 23 წლის ატუბამ აზრი შეიცვალა.

**ინგლისური** „პორტსმუთი“ „მიდლსბროსა“ და ავსტრალიის ნაკრების მეკარის მარკ შვარცერის შეძენასთან ახლოსაა. 33 წლის გოლკიპერს რივერსაიდელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და თანაც გუნდის თავკაც სტივ მაკლარენთან ცუდი ურთიერთობა აქვს, რის გამოც კლუბის გამოცვლა თავადაც სურს.

**ფრანგული** „მარსელი“ „სტრასბურის“ ფორვარდ მიკაელ პაგისით გაძლიერდა. 32 წლის თავდამსხმელმა თავის ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ აქამდე „სტად ველოდრომის“ ბინადრებმა ჟერომ ბონისელი და ტოიფილუ მაულიდა დაიმატეს.

**გერმანული** „ჰანოვერის“ თავდამსხმელი მოჰამადუ იდრისუ „დუისბურგში“ გადავიდა. ტრანსფერის ფინანსური მხარე ჯერ უცნობია, 25 წლის იდრისუმ თავის ახალ კლუბთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მისი შეძენა „ზებრების“ ახალი თავკაცის, იურგენ კოლერის ინიციატივა იყო, რომელიც კლუბის კრიზისიდან გამოყვანას ცდილობს.

**ბელგიური** „ანდერლეხტის“ ლიდერი ვალტერ ბასეჯიო სეზონის ბოლომდე იტალიურ „ტრევიზოში“ ითამაშებს და კლუბს სერია A-ში დარჩენაში დაეხმარება. კონტრაქტის თანახმად, ზაფხულში „ტრევიზოს“, სურვილის შემთხვევაში 27 წლის ფეხბურთელის ბოლომდე გამოსყიდვა შეეძლება.

# დადგები ჩვენ კარში ტოლდო?

## ფიორენტინამ ძველი გაიხსენა

**იტალიის** თასის საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრაში „ფიორენტინა“ „დელე ალპიზე“ „იუვენტუსთან“ 1:4 დამარცხდა და ბრძოლასაც გამოეთიშა.

ეს თამაში ფლორენციელებისთვის სხვა რამითაც უსიამოვნო გამოდგა — ერთ ეპიზოდში „იების“ მეკარე სებასტიან ფრეი ტურინელ თავდამსხმელ მარსელო ზალაიეტასთან შეჯახებისას დაშავდა. როგორც ექიმებმა თქვეს, ფრეის მტკივანი მუხლის მკურნალობას სამი თვე დასჭირდება.



ძირითადი მეკარის ამდენი ხნით არყოლა ნებისმიერი გუნდისთვის დიდი თავსატეხია ცხადია, ასეა „ფიორენტინასთვისაც“ და კლუბის ბოსები გამოსავალს ძველი კარის დარაჯის, ფრანჩესკო ტოლდოს დაბრუნებაში ხედავენ.

ბოლოსწინა ევროპის ჩემპიონატის გმირი ტოლდო, რომელიც ახლა მილანის „ინტერში“ თამაშობს, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია, რაკი ბრაზილიელ ჟულიო სეზარს კონკურენციას ვერ უწევს და ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ ითამაშა სერია A-ში. ამდენად, ტოლდო „ფიორენტინაში“ ძირითად მეკარედ დაბუნებაზე სიამოვნებით უნდა დათანხმდეს.

წესით, არც „ინტერი“ უნდა იყოს ამ გარიგების წინააღმდეგი. ანგარიშის საქმეა — ტოლდოს „შავლურჯებთან“ კონტრაქტი ზაფხულში ეწურება და ახლავე თუ არ გაასხვისა, რამდენიმე თვის მერე უფულოდ გაშვება მოუწევს. თანაც, კონტრაქტის განახლებაზე კლუბსა და მეკარეს შორის ლაპარაკი არც ყოფილა. ასე რომ, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ტოლდო „ფიორენტინაში“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე, უახლოეს დღეებში აღმოჩნდება.

34 წლის მეკარით, რომელმაც სანაკრებო კარიერა ევრო 2004-ის მერე დაასრულა, სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი. მათგან გამორჩეულად კი „პალერმო“ და ლისაბონის „ბენფიკა“ აქტიურობენ, თუმცა „ფიორენტინასთვის“ კონკურენციის გაწევას ალბათ, ვერ შეძლებენ.

**ქოტე ქექელია**

# მათეუსის ბრაზილიური ნარკოტიკი


AFP

**დიდი** გერმანელი, ლოთარ მათეუსი ამიერიდან ბრაზილიურ „ატლეტიკო პარანენსეს“ გაწვრთნის — სწორედ ამის შესახებ ამცნო მედიას მათეუსმა, ის ახლა ბრაზილიაშია.

„მწვრთნელობა ნარკოტიკივითაა, თუ ერთხელ გემო გაუსინჯე, მერე ძნელად თუ მოსცილდები. მინდა, ისევ მოედანზე, ყოველდღიურ სამუშაოს დავუბრუნდე. ჩემი მიზანი ახლა „პარანენსეს“ წარმატებაა“ — განაცხადა ლოთარ მათეუსმა.

1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სათამაშო კარიერას 2000 წელს გამოეთხოვა. მერე მოულოდნელად ბელგრადის „პარტიზანის“ თავკაცი გახდა, ბოლოს კი უნგრეთის ეროვნულ ნაკრებს მოძღვრავდა, ახლა კი...

„მოხარული ვარ, რომ კარიერას ეგზოტიკურ ქვეყანაში გავაგრძელებ“ — მოკლედ დასძინა ბოლოს 44 წლის მათეუსმა.

**ლადო ხომერიკი**

# ეკიპმა დაკური ინგლისში გაუშვა

**ფრანგულმა** „ეკიპმა“ გუშინ დაწერა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ რომაელ ოლივიე დაკურს ეპატიჟებაო.



დაკურს „რომასთან“ კონტრაქტი ამ ზაფხულს ეწურება და ამდენად, თავად იტალიელებისთვის სახეიროც უნდა იყოს ფეხბურთელში ფულის აღება, რადგან დაკურსა და კლუბს შორის კონტრაქტის გაგრძელების ალბათობა დიდი არ არის.

რამდენს სთავაზობს „იუნაიტედი“ რომაელებს „ლიდსის“ ოდინდელ ვარსკვლავში, უცნობია. „ეკიპი“ ვარაუდობს, რაკი „რომა“ ანტონიო კასანოს 3.7 მილიონ გირვანქად შეელია, დაკურის ფასი ამაზე მეტი ნაღდად არ იქნებაო.

მოგეხსენებათ, კასანო წინა კვირაში „რეალის“ ფეხბურთელი გახდა.

იმასაც გეტყვით, რომ „მანჩესტერი“ „რეალიდან“ დანიელი თომას გრავესენის გადაბირებითაცაა დაინტერესებული, თუმცა ამის თაობაზე დღევანდელ ნომერში ცალკე გვიწერია და აქ არ შევჩერდებით.

**ქოტე ქექელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიაში ცვლილებაა
## იუვეს ალექს დიდი გაუქლვა



ალესანდრო დელ პიერომ ჯამპიერო ბონიპერტის რეკორდი დაამხო

### იტალია
#### თასის 1/8 ფინალი
#### საპასუხო მატჩები

**იუვენტუსი 4:1 ფიორენტინა (2:2)**
1:0, 2:0 დელ პიერო (9, 17), 3:0 მუტუ (21), 4:0 დელ პიერო (57პ), 4:1 ბოჟინოვი (64)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძამბროტა, ტიურამი, ფ. კანავარო, ბალძარეტი (გლედსტონი 90), მუტუ, ბლაზი, ვიეირა, ნედვედი, დელ პიერო, ზალაიეტა (ოლივერა 88)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში, გამბერინი, დაინელი, პანკარო, მაჯო, პაზიენცა, მონტოლივო (ბროკი 54), ბრივიო (პასკუალი 46), ბოჟინოვი, პაცინი (ტონი 46)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: პაზიენცა, ბოჟინოვი, დაინელი, ტონი
მსაჯი: დატილო
8 351 მაყურებელი

**პალერმო 5:4 ბარი (0:0)**
1:0 გონსალესი (7), 1:1 ვანტაჯატო (19პ), 2:1 კორინი (45პ), 2:2 პაგანო (55), 3:2 კოდრია (57), 4:2 ტერლიცი (63), 5:2 გონსალესი (66), 5:3 სანტორუვო (69), 5:4 ლ. ანაკლერიო (78)
**პალერმო:** ანდუხარი, მ. ფერი, რინაუდო, ბიავა, გროსო, ბონანი, კოდრია, კორინი (ბარონე 46), მასიელო (სანტანა 57), მ. გონსალესი, პალმიტერი (ტერლიცი 59)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
**ბარი:** სპადავეკია, მ. ესპოზიტო, მიკოლუჩი, მ. ანაკლერიო, კარდინა, გაცი, რაიჩიჩი, მორა (ლა ვისტა 63), პაგანო (ლ. ანაკლერიო 63), სანტორუვო, ვანტაჯატო (ბელავისტა 66)
მწვრთნელი: ჯუზეპე კარბონი
გაფრთხილება: ფერი, კოდრია, რინაუდო, რაიჩიჩი, ბელავისტა, პაგანო, ანდუხარი
მსაჯი: გაბრიელე
1 470 მაყურებელი

**ალესანდრო დელ პიერომ** „ფიორენტინას" სამი გოლი გაუტანა, მის სათასო ოცნებას ბოლო მოუღო, თავად კი „იუვენტუსის" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირად იქცა — „იუვენტუსმა" „ფიორენტინას" 4:1 მოუგო.

შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაში, რომელიც „იებმა" და „ბებერმა ქალბატონმა" ფლორენციაში, „არტემიო ფრანკიზე" ჩაატარეს, ოთხი გოლი გავიდა, ორი ერთ და ორიც მეორე კარში. ასე რომ, თეორიულად ყველაფერი მოსალოდნელი იყო, თუმცა თეორია ერთია, „იუვე" კი „ფიორენტინაზე" ძლიერი.

ფლორენციელთა შემადგენლობაში შედგა თინეიჯერი ნახევარმცველის, დავიდე ბრივიოს დებიუტი, ტურინელებს კი, როგორც ჩანს საბოლოოდ დაუბრუნდა მეკარე-ვარსკვლავი ჯანლუიჯი ბუფონი, რომელიც ერთი ხნის წინ პირველი, მძიმე ტრავმის მერე კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მოედანზე ახალდაბრუნებულმა ფეხის თითი მოიტეხა და ისევ საექიმო შეიქნა.

თავიდან სტუმართა მეკარე სებასტიან ფრეის პაველ ნედვედისა და ადრიან მუტუს დარტყმათა მოგერიება მოუხდა, მასპინძლები კი ჯამპაოლო პაცინის დარტყმისგან ძელმა იხსნა. შემდეგ კი იყო დელ პიეროს ისტორიული გოლი: „იუვეს" კაპიტანი მეტოქის სამ მცველს შორის დატრიალდა და ისე შეაგდო 183-ე ოფიციალური გოლი შავ-თეთრი მაისურით, რაც ლეგენდარული ჯამპიერო ბონიპერტის რეკროდის მოხსნას ნიშნავდა. ამ ამბიდან ექვს წუთში კი იმავე დელ პიერომ საჯარიმოდან შემოაბზრიალა ბურთი კედელს და ბადეში დაუმიზნა.

ეს დღე მართლაც დელ პიეროსი გახლდათ. ზემოთ აღწერილი გოლის შემდეგ ისევ და ისევ „პინტურიჩომ" იყოჩაღა, თუმცა ამჯერად ასისტენტობა გასწია — მისი და ნედვედის გათამაშებული კომბინაცია საბოლოოდ ადრიან მუტუმ დააგვირგვინა.

დელ პიეროს მომენტთაგან აღსანიშნავია ისიც, როდესაც მას ექვსი მეტრიდან დარტყმული საუცხოოდ აუღო ფრეიმ, თუმცა შემდეგ, როდესაც მარსელო ზალაიეტას წაქცევისთვის მსაჯმა „ფიორენტინას" კარში პენალტი დანიშნა, კაპიტანმა ჰეთ თრიქი შეასრულა და საღამო კიდევ უფრო გაალამაზა.

სტუმართაგან ერთადერთი საპასუხო თავური დარტყმით ვალერი ბოჟინოვმა გაიტანა.

„ძალიანაც რომ მოვინდომო, ჩემს გრძნობას ვერ დავმალავ — განაცხადა მატჩის შემდეგ რეკორდსმენმა — ისტორიულ მოთამაშეთა შედეგების გამეორება და მათი გაუმჯობესება, საოცარი სიამაყის გრძნობას იწვევს. ხანდახან ერთი გოლის გატანა ჭირს, ახლა კი ერთბაშად სამი გავიტანე და თან ერთი ამოსუნთქვით. თანაგუნდელთაგან მილოცვის მიღება და გამარჯვება დიდებული შეგრძნებაა".

„დელ პიერო საუცხოო ფორმაშია" — ბრძანა „იუვეს" მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ.

„პალერმოსა" და „ბარის" შეხვედრაში კი, არც მეტი, არც ნაკლები, ცხრა გოლი გავიდა. პალერმოელებმა მოიგეს 5:4. ირონიული ამბავი ის გახლავთ, რომ პირველ შეხვედრაში მეტოქეებმა 0:0 ითამაშეს. ანგარიში ასე მიდიოდა: „პალერმომ" გაიტანა, „ბარიმ" გაათანაბრა; ისევ „პალერმომ" გაიტანა, „ბარიმ" გაათანაბრა; შემდეგ „პალერმომ" ზედიზედ სამი გაიტანა, „ბარიმ" კი ორით უპასუხა.

ჰო, მართლა, თუ ეს ვინმეს ახსოვს და რამეს ნიშნავს, პალერმო თბილისის დაძმობილებული ქალაქია. ყოველ შემთხვევაში, კომუნისტების დროს ასე იყო.

**პაპუნა ძედია**



პაულ შარნერის გოლმა „უიგანს" სენსაციური გამარჯვება მოუტანა

# უიგანმა ერთი ნაბიჯი გადადგა

### ინგლისი
#### ლიგის თასი. 1/2 ფინალი

**უიგანი 1:0 არსენალი**
1:0 შარნერი (78)
**უიგანი:** პოლიტი, ჩიმბონდა, დე ზეუვი, ანშო, მაკმილანი, ტილი, ბალარდი, კავანაფი, მაკკალოხი (შარნერი 33), რობერტსი, კონოლი (იუპანსონი 22)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
**არსენალი:** ალმუნია, ჟილბერტი (ლარსონი 75), სენდეროსი, ჟირუ, სიგანი, ლიუნგბერგი, ფლამინი, ჟილბერტო სილვა, გლები, ოვუსუ-აბეიე (ლუპოლი 72), რეიესი (ფაბრეგასი 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ანშო
მსაჯი: ვები
12 181 მაყურებელი

**ლიგის** თასის ორმატჩა ნახევარფინალის პირველი თამაში „უიგანმა" „არსენალს" 1:0 მოუგო ავსტრიელი შემცვლელის, პაულ შარნერის გოლით, გამარჯვებულთა მენეჯერი პოლ ჯუელი კი არსენ ვენგერს გაექაჩა მეორე ტაიმში.

გოლი შეხვედრის დასრულებამდე 12 წუთით ადრე გავიდა გარი ტილის კროსის შემდეგ. თამაშით „უიგანს" გამარჯვება ეკუთვნოდა, თუმცა „არსენალს" თავისი მთავარი ხალხიდან ჰყავდა მხოლოდ ფრედი ლიუნგბერგი და ხოსე რეიესი.

ჯუელსა და ვენგერს შორის დავა კი მას შემდეგ ატყდა, რაც ვენგერის რეპლიკას მოჰყვა: „მეთოფეთა" მეთაურმა მიიჩნია, რომ უიგანელთა ჯეისონ რობერტსმა განგებ იუხეშა მეკარე მანუელ ალმუნიას წინააღმდეგ. ვენგერი ყვიროდა, რომ რობერტსმა განგებ დაუტოვა ფეხი ალმუნიას. ჯუელი ფრანგს მიეჭრა და უყვირა, შენ შენს გუნდს მიხედე, მე ჩემს გუნდს მივხედავო.

„არსენალი" საუცხოო და დიდი გუნდია, მაგრამ მათ ყველაზე მეტი წითელი ბარათი აქვთ. ალმუნიას ტრავმაც არ მიუღია, წამოდგა და 70 იარდზე დაარტყა ბურთი. ასე რომ, რობერტსს განგებ არაფერი უქნია" — თქვა ჯუელმა.

ამ თამაშში საინტერესო ისიც მოხდა, რომ 54-ე წუთზე, უიგანის „ჯეი-ჯეი-ბის" სტადიონზე შუქი წავიდა და 15 წუთს იქაურობა წყვდიადში იყო გახვეული და მხოლოდ უიგანელ ქომაგთა გნიასი ისმოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რომარიო 1000
## ვასკუმ ლეგენდას ოცნება აღუთქვა



**ბრაზილიური** „ვასკუ და გამა" რომარიოს სპეციალური გეგმით დაეხმარება, რათა ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ათასი გოლის გატანა შეძლოს.

ვეტერანი თავდამხსმელი 29 იანვარს 40 წლის გახდება, მისი ოცნება კი პელეს რეკორდთან მიახლოვება გახლავთ — მოგახსენებთ, რომ ფეხბურთის მეფემ თავისი კარიერის მანძილზე 1248 გოლის შეგდება მოახერხა. რომარიოს კი მაგიური „ათასიანი" ბარიერის გადალახვა უნდა და სწორედ ამიტომ წამოიწყო „ვასკუმ" კამპანია სახელად „რომარიო 1000". რას ნიშნავს ეს? რას და „ვასკუ და გამა" ბლომად ამხანაგურ მატჩს გამართავს, რათა „რომიმ" მისთვის აგრერიგ სასურველი გოლები შეყაროს.

იქამდე მისასვლელად რომარიოს სულ რაღაც 59 ბურთის გატანა სჭირდება, დღემდე კი მის ანგარიშზე ოფიციალურად 941 გოლია. რომარიომ „ვასკუ და გამას" შემადგენლობაში 342 ბურთი შეაგდო, რაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე „სანტოსში" პელეს მიერ გატანილ 1090-თან.

„რა ხანია, ფეხბურთიდან წასვლა მსურს, მაგრამ ყოველი სეზონის დადგომისთანავე, რატომღაც ახალ-ახალი რეკორდების დამხობას ვიწყებდი. წელს სწორედ მეათასე გოლის გატანა მინდა და როცა ამას შევძლებ, აქტიურ სპორტსაც მაშინ შევეშვები" — უთხრა რომარიომ „ო გლობოს".

**ლადო ხომერიკი**

### საფრანგეთი
#### II დივიზიონი. XXI ტური

სედანი — კლერმონი 3:0; ბასტია — ამიენი 2:0; კაენი — რეიმსი 1:3; გენიონი — კრეტეი 0:0; ისტრი — სეტე 1:0; ლორიანი — გენგამი 2:1; მონპელიე — შატორუ 2:1 გრენობლი — ვალანსიენი და ლე ავრი — ბრესტი ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა, დიჟონი — ლავალი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 21 | 11 | 8 | 2 | 30:17 | 41 |
| ლორიანი | 21 | 10 | 8 | 3 | 28:14 | 38 |
| ბასტია | 21 | 10 | 7 | 4 | 30:17 | 37 |
| ვალანსიენი | 20 | 9 | 8 | 3 | 26:16 | 35 |
| კრეტეი | 21 | 8 | 7 | 6 | 30:18 | 31 |
| შატორუ | 21 | 7 | 8 | 6 | 29:25 | 29 |
| მონპელიე | 21 | 7 | 7 | 7 | 21:25 | 28 |
| კაენი | 21 | 6 | 9 | 6 | 26:22 | 27 |
| დიჟონი | 20 | 6 | 8 | 6 | 21:23 | 26 |
| გრენობლი | 19 | 7 | 5 | 7 | 18:21 | 26 |
| რეიმსი | 20 | 5 | 10 | 5 | 17:14 | 25 |
| ბრესტი | 20 | 6 | 7 | 7 | 22:22 | 25 |
| გენიონი | 21 | 5 | 10 | 6 | 15:23 | 25 |
| ამიენი | 21 | 5 | 9 | 7 | 22:24 | 24 |
| ლე ავრი | 20 | 5 | 8 | 7 | 24:26 | 23 |
| გენგამი | 21 | 5 | 8 | 8 | 17:19 | 23 |
| ისტრი | 21 | 5 | 8 | 8 | 18:27 | 23 |
| ლავალი | 20 | 6 | 3 | 11 | 19:28 | 21 |
| კლერმონი | 21 | 5 | 6 | 10 | 17:37 | 21 |
| სეტე | 21 | 2 | 8 | 11 | 18:30 | 14 |

# კაცი კოსმოპოლიტური გასახდელიდან

*პატრიკ ვიეირა საუბრისას ალალი და პირდაპირია. იმავდროულად ის ზრდილი და მშვიდი ადამიანიც გახლავთ. ერთი სიტყვით, შეუიარაღებელი თვალითაც იოლად ჩანს, რომ ვიეირა, რომელსაც ჩვენ ტრიბუნიდან და ტელეეკრანიდან ვიცნობთ, ძლიერ განსხვავდება ვიეირასგან, რომელიც ჟურნალისტის, ამ შემთხვევაში იტალიელი დომინიკ ანტონიონის წინაშე ზის და საუბრობს. თან, როგორც სინიორ ანტონიონი წერს, სიტუაციების აღწერისას მისი საუბარი ფრანგულიდან ინგლისურზე, ინგლისურიდან კი იტალიურზე გადადის და მეტად თავშესაქცევია*



AFP

— პატრიკ, უპირველეს ყოვლისა ეს გვითხარით, ინტერვიუების მიცემით არ დაიღალეთ?

— არა, ნამდვილად არ დავღლილვარ. პირიქით, ინტერვიუები მახალისებს. წელიწადში რამდენიმე ინტერვიუს ვაძლევ ხოლმე.

— ტურინში როგორ დაფუძნდით?

— ყველაფერი ძალიან კარგად მიდის, ფანტასტიკურად. სასტუმროში ოთხთვიანი ცხოვრების შემდეგ ქალაქის ცეტრში სახლიც შევარჩიე.

— იტალიური ენის საქმე როგორღაა?

— მართალი გითხრათ, ნამდვილი მეცადინეობა მაშინ შემეძლება, როდესაც საბოლოოდ დავლაგდები, თუმცა ნულიდან არ ვიწყებ. წლების წინ ხომ მილანში ვცხოვრობდი და იმ დროს ჩაყრილი საფუძველი ახლა მადგება. მაშინდელ ნასწავლ სიტყვებს წარმატებით ვიხსენებ. მერედა, აქ ბევრი ფრანგი ფეხბურთელია და ეს მშველის. ერთი სიტყვით, ენობრივი ბარიერი არ მაწუხებს.

— „იუვენტუსის“ გასახდელში რა ენაზე ლაპარაკობთ?

— იტალიურის, ფრანგულისა და ინგლისურის ნაზავზე. იქ მეტისმეტად კოსმოპოლიტური გარემოა და ეს ძალიან მომწონს.

— ლონდონის შემდეგ ტურინი ძალიან მშვიდ ქალაქად ხომ არ გეჩვენებათ?

— ეს ქალაქი ლონდონსა და პარიზს არ უნდა შეადაროთ, რადგან მათთან შედარებით განუზომლად პატარაა, თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ტურინი მშვენიერია. მერედა, ახლა, როდესაც ზამთრის ოლიმპიადის სამზადისია, ბევრი რამ შენდება. მერწმუნეთ, ყველაფერი რომ დასრულდება, ტურინი კიდევ უფრო დამშვენდება.

— ზამთრის ოლიმპიადა გაინტერესებთ?

— სანამ ტურინში გადმოვსახლდებოდი არ მაინტერესებდა, მაგრამ ახლა, უკვე ვფიქრობ, ჩამითრია. ზოგიერთ შეჯიბრებას სიამოვნებით დავესწრებოდი. ესეც არ იყოს, მასობრივი ღონისძიება შენს ქალაქში ტარდებოდეს, შენ კი ამით არ ისარგებლო და მონაწილეობა არ მიიღო, შეუძლებელია.

— მოედანზე როგორღა შეეგუეთ ახალ გარემოს?

— გასახდელში იმდენად კარგი ატმოსფეროა, რომ ახალ გარემოსთან შეგუება არ გამჭირვებია. იცით, საერთოდ, დიდ გუნდთან შეგუება ძნელი საქმე არ არის.

— მაშ, ტაქტიკურ მხარეზე გკითხავთ. რა განსხვავება შეამჩნიეთ სერია A-სა და პრემიერლიგას შორის?

— თქვენ დაასახელეთ ორი ისეთი ლიგა, მსოფლიოში კიდევ რამდენიმესთან ერთად სათამაშოდ ყველაზე ძნელი რომ არის. რაც შეეხება განსხვავებას, ინგლისში ვნებათაღელვა მეტია და ფეხბურთელს მოედანზე სივრცეც მეტი აქვს. აქ კი მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან დიდი სივიწროვეა. გარდა ამისა, მგონი, იტალიაში პრესა და ქომაგები მოთამაშეებზე უფრო მეტ ზეწოლას ახდენენ.

— განსაკუთრებით რამ შეგიწყოთ ხელი იტალიაში გადმოსვლის შემდეგ?

— იმან, რომ „იუვენტუსში“ სამი ფრანგი ფეხბურთელი დამხვდა. ისინი იტალიაში წლობით თამაშობენ და ბევრი სასარგებლო რჩევა მომცეს.

— „მილანის“ დროინდელი გამოცდილება რამეში დაგეხმარათ?

— ცხადია, იტალიურ ფეხბურთთან ოდინდელი შეხება ჩემთვის ხელის წაკვრის ტოლფასი იყო, თუმცა, როგორც პიროვნება და ფეხბურთელი, ბუნებრივია, „არსენალში“ დავიხვეწე.

— მაშინაც, 1996 წელს თქვენ ფაბიო კაპელოს შეგირდი იყავით. შეიცვალა ეს მწვრთნელი მას მერე?

— არა, როგორი გატაცებული და მოსაგებად შემართებულიც ათი წლის წინ იყო, ისეთია ახლაც. სწორედ ამიტომაა დიდი მწვრთნელი.

— რატომაა „იუვენტუსი“ წარმატებული გუნდი?

— წყურვილი... მოგების, პროგრესის, თითოეული ბურთისთვის ბრძოლის წყურვილი.

— რა განსხვავებაა მოედანს გარე ორგანიზაციაში „არსენალსა“ და „იუვენტუსს“ შორის?

— ისეთი არაფერი. ორივე დიდი კლუბია და ეტყობათ, წლების განმავლობაში როგორც შინ, ასევე საერთაშორისო სარბიელზე მოწინავეთა შორის რომ არიან.

— „იუვენტუსი“ ყოველ წელიწადს ყიდულობს დიდ ვარსკვლავს. როგორ ფიქრობთ, მომავალ ზაფხულსაც იგივე იქნება?

— არ ვიცი, ეს კლუბის საქმეა, თუმცა, უმაღლესი სტანდარტების მოთხოვნილება, ალბათ კვლავ უბიძგებს ამ ნაბიჯისკენ.

— ბევრს ლაპარაკობენ „ბაიერნიდან“ ვილი სანიოლის გადაბირებაზე...

— იცით, მე და ვილი საფრანგეთის ნაკრების ბანაკში ცხადია, ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ ამ თემას არასდროს შევხებივართ.

— კეთილი, მაშ ეს გვითხარით, მართალს ამბობენ, რომ იტალიაში ტიტულისთვის ბრძოლა „იუვესა“ და „მილანის“ დოლამდე დავიდა?

— იცით, სეზონი ძალიან გრძელია და ვფიქრობ, „ინტერი“ კიდევ მოასწრებს სკუდეტოსთვის ბრძოლაში ჩაბმას.

— და ჩემპიონთა ლიგა? როგორ ფიქრობთ, „არსენალში“ წლობით გაცრუებულ იმედს რამე ეშველება და მოიგებთ ჩემპიონთა ლიგას?

— როგორც კი „იუვენტუსში“ ფეხი შევდგი, მივხვდი თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო აქ ჩემპიონთა ლიგა ყველასთვის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გადახედეთ გუნდს, რომელიც აქ შექმნეს. ის ერთ-ერთი უძლიერესია მათ შორის, რომელშიც კი ოდესმე მითამაშია. პლუს, ჩვენთვის, ფრანგი ფეხბურთელებისთვის ორმაგად მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე გათამაშების ფინალი „სტად დე ფრანსზეა“.

— შეადარეთ, თუ შეიძლება დღევანდელი „იუვენტუსის“ ნახევარდაცვა იმ „არსენალის“ ნახევარდაცვას, რომელშიც თქვენ და ემანუელ პეტი თამაშობდით...

— მაშინდელ „არსენალში“ მე უფრო დაცვისკენ, სიღრმეში ვიყავი ჩაწეული. გარდა ამისა, უფრო ახალგაზრდა და გამოუცდელიც გახლდით. აქ, „იუვენტუსში“ ჩემი პოზიცია განსხვავებულია. დაცვას უფრო ემერსონი უყურებს, მე კი წინ წასვლის ნება მაქვს, რაც უფრო მომწონს. სხვათაშორის, ემერსონი ჩინებული მოთამაშეა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვუგებთ ერთმანეთს.

— მათ შორის, ვისაც ამ სეზონში შეხვდით „მილანი“ ყველას სჯობდა?

— არა მგონია... ყველას, ალბათ მიუნხენის „ბაიერნი“ სჯობდა.

— ვატყობ, „მილანის“ შექება არ გინდოდათ. შეადარეთ თუ შეიძლება „იუვესა“ და „მილანის“ ქიშპი „არსენალისა“ და „მანჩესტერის“ ქიშპს...

— ასეთი რამ ყველა ქვეყანაშია. თუ გნებავთ ესპანეთს შეხედეთ.

— „მილან“ — „იუვენტუსის“ ბოლო თამაშში მილანელთა ნახევარმცველებმა, თქვენ და ემერსონს გაჯობეს. რინო გატუზო იგივეა, რაც „მანჩესტერში“ როი კინი იყო?

— არა, გატუზო კინთან ვერ მივა. ასეთი შედარება არც შეიძლება.

— ფეხბურთელობას თავს რომ დაანებებთ, მწვრთნელი გახდებით?

— მომავალი ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგრამ ისე, საფეხბურთო სამყაროში დარჩენა ნამდვილად მინდა, რადგან ეს საქმე მიყვარს. არადა, ცხოვრებაში იმდენი რამის გაკეთება მინდა. ყველაფრის დაგეგმვა ძნელია.

— მანამდე კი მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება. მოუთმენლად ელით?

— ცხადია. მითუფრო, რომ ძნელი შესარჩევი ეტაპის შემდეგ სასიხარულოა, იქ რომ ვიქნებით.

— სულ მცირე, რას გეგმავს საფრანგეთის ნაკრები?

— როგორც დიდ გუნდს, მიზანი მხოლოდ ერთი აქვს, ბოლომდე გასვლა და გამარჯვება. საფრანგეთი სხვა მიზანს ვერ დაისახავს.





AFP



AFP

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | სიტი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 19:00 | 3 | არსენალი-მიდლსბრო | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 19:00 | 5 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 6 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 7 | ფულემი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 8 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 10 | პორტსმუთი-ევერტონი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 21:15 | 11 | ბლექბერნი-ბოლტონი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 12 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:00 | 13 | სანდერლენდი-ჩელსი | 10.00 | 5.20 | 1.20 | 3.42 | 1.07 | 1.00 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 15 | ვულვერჰემპტონი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 16 | ბრაიტონი-ლიდსი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 19:00 | 17 | კარდიფი-ბარნლი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 18 | დერბი-ქრიუ | 1.80 | 3.10 | 4.20 | 1.13 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 19 | ჰალი-კრისტალ პალასი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 20 | იფსვიჩი-შეფილდი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 19:00 | 21 | პლიმუთი-ნორვიჩი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 19:00 | 22 | პრესტონი-მილუოლი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| 19:00 | 23 | ქპრ-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 24 | რედინგი-ქოვენთრი | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 19:00 | 25 | უენსდი-ლესტერი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 26 | უოტფორდი-სტოკი | 1.90 | 3.00 | 3.80 | 1.16 | 1.26 | 1.67 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 30 | ბორნმუთი-როტერჰემი | 1.75 | 3.30 | 4.25 | 1.14 | 1.23 | 1.85 |
| 19:00 | 31 | ბრედფორდი-სუონსი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:00 | 32 | ბრისტოლი-სკანთორპი | 1.90 | 3.30 | 3.60 | 1.20 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 33 | დონკასტერი-ჩესტერფილდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-სუინდონი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 19:00 | 35 | ჰარტლპული-ტრანმერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 36 | ჰადერსფილდი-ბლეკპული | 1.70 | 3.30 | 4.40 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 37 | დონსი-იოვილი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 38 | ნოტინგემი-ოლდემი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 19:00 | 39 | პორტ ვეილი-ბარნსლი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 40 | საუთენდი-ბრენტფორდი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 41 | უოლსოლი-კოლჩესტერი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 42 | ბერი-ტორკი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 43 | ჩელტენემი-როვერსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 44 | ჩესტერი-ბოსტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 45 | დარლინგტონი-პიტერბრო | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 19:00 | 46 | გრიმსბი-მენსფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 19:00 | 47 | ლეიტონი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.10 | 3.10 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 19:00 | 48 | ლინკოლნი-ბარნეტი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 19:00 | 49 | მაკლსფილდი-ოქსფორდი | 1.85 | 3.20 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 19:00 | 50 | როჩდეილი-სტოკპორტი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 51 | რაშდენი-რექსემი | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 52 | შრიუსბერი-კარლაილი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 53 | უიკომბი-ნოტსი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 57 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:00 | 60 | დანფერმლაინი-ჰართსი | 5.50 | 3.60 | 1.55 | 2.17 | 1.20 | 1.08 |
| 19:00 | 62 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| 19:00 | 64 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 59 | დანდი იუნ.-ფოლკირკი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 65 | მოზერუელი-რეინჯერსი | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 66 | ერდრი-სტ.მირენი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 19:00 | 67 | ბრეჩინი-სტრანრარი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 19:00 | 68 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 2.15 | 3.30 | 2.85 | 1.30 | 1.22 | 1.52 |
| 19:00 | 69 | დანდი-როსი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 70 | ქუინი-ჰამილტონი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 71 | ალოა-ფორფარი | 2.80 | 3.20 | 2.20 | 1.49 | 1.23 | 1.30 |
| 19:00 | 72 | ეარი-პარტიკი | 2.65 | 3.20 | 2.30 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 19:00 | 73 | მორტონი-გრეტნა | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 19:00 | 74 | პიტერჰედი-დამბარტონი | 1.70 | 3.50 | 4.10 | 1.14 | 1.20 | 1.88 |
| 19:00 | 75 | რეითი-სტირლინგი | 2.75 | 3.30 | 2.15 | 1.50 | 1.20 | 1.30 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 81 | ლეჩე-სამპდორია | 2.40 | 3.00 | 2.85 | 1.33 | 1.30 | 1.46 |
| 23:30 | 82 | მესინა-პალერმო | 2.45 | 2.90 | 2.85 | 1.32 | 1.31 | 1.43 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 18:00 | 83 | ასკოლი-ემპოლი | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 18:00 | 84 | ფიორენტინა-კიევო | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 86 | ინტერი-კალიარი | 1.15 | 5.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.02 |
| 18:00 | 87 | იუვენტუსი-რეჯინა | 1.15 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.25 |
| 18:00 | 89 | ლივორნო-სიენა | 1.65 | 3.30 | 4.90 | 1.10 | 1.23 | 1.97 |
| 18:00 | 90 | პარმა-ლაციო | 2.35 | 2.90 | 3.00 | 1.29 | 1.31 | 1.47 |
| 18:00 | 91 | უდინეზე-ტრევიზო | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:30 | 92 | რომა-მილანი | 3.85 | 3.10 | 1.90 | 1.71 | 1.27 | 1.17 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 95 | ალბინოლეფე-ტერნანა | 2.40 | 2.70 | 3.20 | 1.27 | 1.37 | 1.46 |
| 23:45 | 96 | კატანძარო-კრემონეზე | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 97 | არეცო-მანტოვა | 2.45 | 2.70 | 3.10 | 1.28 | 1.36 | 1.44 |
| 19:00 | 98 | ბარი-ტორინო | 2.85 | 2.70 | 2.55 | 1.38 | 1.34 | 1.31 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 99 | ბრეშა-კატანია | 2.30 | 2.70 | 3.40 | 1.24 | 1.37 | 1.50 |
| 19:00 | 100 | ჩეზენა-ვიჩენცა | 1.70 | 2.90 | 5.90 | 1.07 | 1.31 | 1.94 |
| 19:00 | 101 | მოდენა-რიმინი | 1.80 | 2.90 | 5.00 | 1.11 | 1.32 | 1.83 |
| 19:00 | 102 | პესკარა-ბოლონია | 2.35 | 2.80 | 3.10 | 1.27 | 1.33 | 1.47 |
| 19:00 | 103 | პიაჩენცა-კროტონე | 2.00 | 2.70 | 4.30 | 1.14 | 1.36 | 1.65 |
| 19:00 | 104 | ტრიესტინა-აველინო | 1.70 | 2.80 | 6.00 | 1.05 | 1.32 | 1.90 |
| 19:00 | 105 | ვერონა-ატალანტა | 2.45 | 2.70 | 3.10 | 1.28 | 1.36 | 1.44 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 127 | ბეტისი-ატლეტიკო | 2.00 | 3.10 | 3.45 | 1.21 | 1.26 | 1.63 |
| 23:45 | 135 | ვალენსია-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 125 | ბარსელონა-ბილბაო | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 20:00 | 129 | ხეტაფე-სელტა | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 130 | დეპორტივო-ალავესი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| 20:00 | 131 | მალაგა-კადისი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 132 | რეალი-სევილია | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 133 | რასინგი-ვილიარეალი | 2.95 | 3.00 | 2.25 | 1.48 | 1.27 | 1.28 |
| 20:00 | 134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.95 | 3.10 | 3.75 | 1.19 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 136 | სარაგოსა-მალიორკა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 21:30 | 138 | სიუდადი-ალბასეტე | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 21:30 | 139 | ეიბარი-ეხიდო | 2.30 | 2.70 | 3.20 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 21:30 | 141 | ჰერკულესი-ტარაგონა | 2.25 | 2.80 | 3.20 | 1.24 | 1.32 | 1.49 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 20:00 | 137 | კასტელონი-რეალი(ბ) | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 20:00 | 140 | სპორტინგი-ელჩე | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| 20:00 | 142 | ლეიდა-ალმერია | 2.60 | 2.80 | 2.75 | 1.34 | 1.33 | 1.38 |
| 20:00 | 143 | ლორკა-ლევანტე | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 20:30 | 144 | ნუმანსია-მალაგა ბ | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| 20:00 | 145 | ტენერიფე-მურსია | 2.40 | 2.80 | 3.00 | 1.29 | 1.33 | 1.44 |
| 20:00 | 146 | ვალიადოლიდი-ფეროლი | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 15:00 | 147 | სერესი-უელვა | 2.10 | 2.80 | 3.50 | 1.20 | 1.31 | 1.55 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 159 | ტულუზი-პსჟ | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 212 | გრონინგენი-ჰერენვენი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 213 | ჰერაკლესი-ალკმაარი | 4.10 | 3.30 | 1.75 | 1.82 | 1.22 | 1.14 |
| 22:30 | 214 | ბრედა-როდა | 2.20 | 3.00 | 2.90 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 23:00 | 215 | ვალვაიკი-როზენდალი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 15:30 | 216 | დენ ჰააგი-უტრეხტი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 15:30 | 217 | ვიტესი-ფეიენოორდი | 3.30 | 3.30 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 17:30 | 218 | აიაქსი-ნაიმეგენი | 1.35 | 4.10 | 8.00 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 17:30 | 220 | ტილბურგი-ტვენტე | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 19:30 | 221 | სპარტა-პსვ | 6.80 | 3.90 | 1.40 | 2.47 | 1.16 | 1.03 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 223 | კამბური-აპელდორნი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 23:00 | 224 | გრააფსხაპი-ვეენდამი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:00 | 225 | ემენი-სიტარდი | 1.40 | 3.90 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.47 |
| 23:00 | 226 | ჰელმონდი-ვენლო | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |
| 23:00 | 227 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:00 | 228 | ალმერე-ტელსტარი | 2.35 | 3.30 | 2.55 | 1.37 | 1.22 | 1.43 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 229 | ოსი-იგლსი | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| 23:00 | 230 | ვოლენდამი-დორდრეხტი | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| 23:00 | 231 | ზვოლე-ექსელსიორი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 232 | ჰაარლემი-დენ ბოსხი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 256 | აეკ-ატრომიტოსი | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 17:00 | 260 | ირაკლისი-აკრატიტოსი | 1.40 | 3.90 | 7.50 | 1.03 | 1.17 | 2.56 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 259 | იონიკოსი-ლევადეიაკოსი | 1.65 | 3.20 | 4.90 | 1.08 | 1.23 | 1.93 |
| 17:00 | 262 | ოფი-კალამარია | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 21:15 | 263 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1.95 | 3.10 | 3.60 | 1.19 | 1.26 | 1.66 |
| 17:00 | 264 | პაოკ-ქსანთი | 1.80 | 3.20 | 3.95 | 1.15 | 1.23 | 1.76 |
| | | **16 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 261 | ოლიმპია-პანიონიოსი | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| | | **ესპანეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 289 | რეალი-ბილბაო | 1.40 | 4.00 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 298 | კალამარია-ოლიმპია | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **იტალია.თასი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 18:30 | 278 | ჩიტადელა-ლაციო | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 279 | ინტერი-პარმა | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 452 | ლინჩიოპინგი-ლეკსანდი | 1.30 | 4.70 | 5.00 | 1.01 | 1.03 | 2.42 |
| 22:00 | 453 | იურგორდენი-მოდო | 2.05 | 4.00 | 2.30 | 1.35 | 1.08 | 1.46 |
| 22:00 | 454 | ჰვ 71-ფრიოლუნდა | 1.95 | 4.10 | 2.50 | 1.32 | 1.09 | 1.55 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 462 | სეიპა-ესპოო | 2.05 | 4.20 | 2.25 | 1.37 | 1.07 | 1.46 |
| 20:30 | 463 | პელიკანსი-იუვესკიულე | 2.50 | 4.20 | 1.85 | 1.56 | 1.06 | 1.28 |
| 20:30 | 464 | კალპა-ტურკუ | 2.50 | 4.20 | 1.85 | 1.56 | 1.06 | 1.28 |
| 20:30 | 465 | ჰელსინკი-კერპეტი | 2.10 | 4.20 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| 20:30 | 466 | ტაპარა-იოკერიტი | 1.65 | 4.30 | 3.00 | 1.19 | 1.06 | 1.76 |
| 20:30 | 467 | ჰაამეენლინა-ესეტი | 1.55 | 4.40 | 3.40 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 516 | აისბარენი-დუისბურგი | 1.40 | 4.50 | 4.80 | 1.06 | 1.08 | 2.32 |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 517 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2.10 | 4.20 | 2.30 | 1.39 | 1.09 | 1.48 |
| 22:30 | 518 | ინგოლშტადი-მანჰაიმი | 1.75 | 4.20 | 2.80 | 1.23 | 1.07 | 1.67 |
| 22:30 | 519 | ჰამბურგი-იზერლონი | 1.55 | 4.40 | 3.50 | 1.14 | 1.07 | 1.94 |
| 22:30 | 520 | ფრანკფურტი-ნიურნბერგი | 2.05 | 4.20 | 2.35 | 1.37 | 1.09 | 1.50 |
| 22:30 | 521 | კიოლნი-კასელი | 1.35 | 4.70 | 5.00 | 1.04 | 1.06 | 2.42 |
| 22:30 | 522 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1.70 | 4.30 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 694 | ჟალგირისი-აეკ | 1.15 | 12.00 | 5.00 | 1.04 | 1.00 | 3.52 |
| 22:45 | 695 | პანათინაიკოსი-სიენა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |
| 23:30 | 696 | პაუ-ულქერი | 1.45 | 12.00 | 2.30 | 1.29 | 1.00 | 1.93 |
| 23:45 | 697 | ტაუ-ოლიმპია | 1.05 | 12.00 | 7.50 | 1.00 | 1.00 | 4.61 |
| 23:45 | 699 | ციბონა-მაკაბი | 2.50 | 12.00 | 1.40 | 2.06 | 1.00 | 1.25 |

„ᲙᲠᲝᲙᲝᲡ" ᲑᲘᲣᲠᲝᲔᲑᲛᲐ ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲨᲘ (Გ. ᲯᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐᲡ 150), ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡᲐ (ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲧᲐᲜᲬᲔᲚᲔᲑᲘᲡ 4)
ᲓᲐ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ (ᲘᲝᲐᲜᲔ ᲞᲔᲢᲠᲘᲬᲘᲡ 3) ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲐᲐᲮᲚᲔᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენტერსპორტმაც მწვანე აანთო

## გორდონ ჰერბერტი: კონტრაქტს ხელს ამ კვირაში მოვაწერ



ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა (მარცხნივ) გორდონ ჰერბერტთან ყველაფერი შეათანხმა

კალათბურთის ფედერაციას რომ გორდონ ჰერბერტთან შეთანხმება მიღწეული აქვს, არახალია, გასარკვევი ისღა დარჩა, თუ როდის დაინიშნება იგი ჩვენი ნაკრების თავკაცად. გუშინ საფრანგეთში თავად გორდონ ჰერბერტს შევეხმიანეთ, რომელმაც დამაიმედებელი სიტყვა გვითხრა, საქართველოს ნაკრებს დღე-დღეზე ჩავიბარებო. სანამ ხუთჯვაროსანთა კანადელ მწვრთნელთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ ჰერბერტი ბოლო ევროსაკვალიფიკაციოზეც მოძღვრავდა ჩვენს ნაკრებს და იმიტომ ჩამოშორდა მას, რომ მომდევნო ეტაპზე ვერ გაიყვანა. მიუხედავად წარუმატებლობისა, ჰერბერტის კომპეტენციაში ეჭვი არავის შეუტანია და საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ მასთან მოლაპარაკება ხელახლა წამოიწყო. ჰოდა, საქმეც გაჩარხულია, 2+2-წლიანი კონტრაქტი მზადაა და მას მხარეები უახლოეს დღეებში მოაწერენ ხელს...

— ყველა საკითხი შეთანხმებული გვაქვს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან პირობებზე ლაპარაკი დასრულებულია და კონტრაქტსაც ალბათ ამ კვირაში გავაფორმებთ — გვითხრა გორდონ ჰერბერტმა.

— ხელშეკრულებას თბილისში ჩამოხვალთ და ისე გააფორმებთ?

— არა, კონტრაქტს ფაქსის საშუალებით მოვაწერთ ხელს, რის შემდეგაც ეს დოკუმენტი იურიდიულ ძალას შეიძენს. უშუალოდ ხელს მაშინ მოვაწერთ, როცა თბილისში ჩამოვალ, რასაც უფრო სიმბოლური ხასიათი ექნება, ვიდრე იურიდიული.

— როდის აპირებთ თბილისში ჩამოსვლას?

— სეზონის დასრულებამდე ვერ ჩამოვალ. უფრო სწორედ, ჩამოსვლის საჭიროება არ იქნება, რადგან ნაკრების კანდიდატთა უმეტესობა საზღვარგარეთაა. თან მეც ჩემს კლუბ „პარიზ რასინგში" ვარ დაკავებული და ქართველებთან კონტრაქტის თანახმად, აქ მუშაობა შეუფერხებლად შემიძლია. დამთავრდება სეზონი და მერე თქვენს ფედერაციასთან შეთანხმებით ის თარიღიც დადგინდება, როცა მე თბილისში ჩამოვალ. სავარაუდოდ, ეს ივნისის შუა რიცხვებში მოხდება.

— ამას წინათ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა გვითხრა, ჩვენ და ჰერბერტი თანახმა კი ვართ, მაგრამ კონტრაქტის სრულყოფილად გაფორმებას მისი სატრანსფერო სააგენტოს თანხმობაც სჭირდებაო...

— „ენტერსპორტი", ჩემი სატრანსფერო სააგენტო, არც მაშინ იყო წინააღმდეგი, რომ მე საქართველოს ნაკრებში მუშაობა გამეგრძელებინა. უბრალოდ, თანხმობა ოფიციალურ დონეზე არ ჰქონდა დაფიქსირებული. სააგენტოსგან არავითარი პრობლემა არ არსებობს, კონტრაქტის გაფორმება გადაწყვეტილია და მას ხელი, სავარაუდოდ, ამ კვირაში მოეწერება.

**ირაკლი პერტაია**

---

10 იანვარი

**ატლანტა 94:98 ბოსტონი**

**ატლანტა:** აივი, ჯონსონი (15), სმიტი (10), ჰარინგტონი (16), ფაჩულია (40 წუთი, 18 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი); ჩილდრესი (13), ლუ (12), უილიამსი (7), სტუდემაიერი (3), ბატისტა

**ბოსტონი:** ვესტი (15), დევისი (21), პირსი (27), ჯეფერსონი (4), ლაფრენცი (2); ბლუნტი (15), პერკინსი (6), სკალაბრინი (4), ალენი (4), ბანქსი, გრინი, რედი

**მილუოკი 95:92 მინესოტა**

**მილუოკი:** რედი (22), მალუა (15), კუკოჩი (14)

**მინესოტა:** იარიჩი (21), შჩერბიაკი (20), გარნეტი (14 ქულა, 13 მოხსნა), ჰასელი (14)

*ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო*

**დენვერი 139:137 ფინიქსი**

*ძირითადი დრო 106:106*

**დენვერი:** ენტონი (43 ქულა, 11 მოხსნა), ბოიკინსი (33), მილერი (15), უოტსონი (15)

**ფინიქსი:** ბელი (30), მარიონი (28 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (26 ქულა, 13 პასი), ჯონსი (22)

**კლივლენდი 84:92 ნიუ იორკი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (36 ქულა, 7 მოხსნა, 7 პასი), მარშალი (15), გუდენი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (26 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (22), ფრაი (16)

**შარლოტი 111:106 ჰიუსტონი**

*ძირითადი დრო 90:90*

**შარლოტი:** ვოლესი (26 ქულა, 14 მოხსნა), ოკაფორი (21), ბრეჟეცი(20), ნაითი (15 ქულა, 18 პასი)

**ჰიუსტონი:** ჰოვარდი (28 ქულა, 12 მოხსნა), ვესლი (26), ალსტონი (20 ქულა, 10 პასი), ჰედი (17)

**მემფისი 99:85 საკრამენტო**

**მემფისი:** გასოლი (27), მილერი (21 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი), უორიკი (16)

**საკრამენტო:** ბიბი (26), სტოიაკოვიჩი (19), ტომასი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 86:96 დეტროიტი**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (20), კლაქსტონი (18)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (30), ბილაფსი (18), რ. ვოლესი (15)

**სან ანტონიო 96:91 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (27 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (18), ჯინობილი (16)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (34), კიდი (15), კრსტიჩი (14)

**კლიპერსი 90:73 ორლანდო**

**კლიპერსი:** მობლი (18), კამანი (18)

**ორლანდო:** ნელსონი (18), სტივენსონი (13)

---

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ენტონის ამტანობა



ნიუჯერსელი ვინს კარტერი სანანტონიოელ ტიმ დანკანს ასცდა

**ზაზა ფაჩულიას**, სეზონში რამდენიც გენებოთ და, ნაახალწლევს ასეთი თამაში ნაღდად არ ჰქონია. 18 ქულით და 9 მოხსნით ის საუკეთესო იყო თავისიანთა შორის, თუმც ვერ შეძლო „ატლანტა" „ბოსტონთან" მარცხი აეცილებინა.

„ჩვენ ვერ ვითამაშეთ გუნდური კალათბურთი, ბურთი ვერ გავიყავით მნიშვნელოვან მომენტებში დაგვავიწყდა, რომ ეს გუნდური თამაშია" — ამბობდა ის ნამატჩევს.

დამარცხდა ნიკა ცქიტიშვილის „მინესოტაც". ისე კი, ცოტა გვეჩოთირება, ამ გუნდს ცქიტიშვილისა ვუწოდოთ, ის ხომ განაცხადშიც აღარ ჩანს.

სასწაულ მატჩს უმასპინძლა დენვერის „პეპსი სენთერმა". დამხვდურმა „ნაგიტსმა" და მომხდურმა „ფინიქს სანზმა" ოთხი ძირითადი მეოთხედის და კიდევ სამი ოვერტაიმის განმავლობაში, სულ 63 სუფთა სათამაშო წუთი ტანჯეს ერთმანეთი.

ყველაფერი იყო ამ შეხვედრაში, სისხლიც კი — მესამე დამატებითი დროის შუაწელს „დენვერის" მექსიკელმა მტყორცნელმა ედუარდო ნაჯერამ თავისი გუნდის ლიდერ კარმელო ენტონის შემთხვევით სახეში სთხლიშა ხელი. ენტონის მხედველობა გაუორმაგდა და ცხვირიდან სისხლი წასკდა, თუმც დასტაქრებმა იყოჩაღეს, მალევე დააბრუნეს მოედანზე და ამანაც მესამე ოვერტაიმის დასრულებამდე 2,9 წამით ადრე გამარჯვების ბურთი უმარჯვა კალათს.

ენტონის არც მანამდე შეურცხვენია თავი, სულ სეზონში უმეტესი, 43 ქულა მოიხვეჭა.

იჩაუქა სადღეისოდ ნბა-ს ყველაზე დაბალმა მოთამაშემ, დაბალმა კი არა, სულაც 165-სანტიმეტრიანმა ჯუჯამ ერლ ბოიკინსმაც, ვინც კარიერაში უმეტესი, 33 ქულა მოინაგრა.

სათქმელია, რომ „დენვერს" აკლდა ორი მთავარი მეფარე — მარკუს კემბი და კენიონ მარტინი. თუმცა ვერც „ფინიქსია" სრულ საბრძოლო მწყობრში.

ამ გუნდმა შრშან საშუალოდ მატჩში 26 ქულის მკეთებელი ამარე სტუდემაიერის გარეშე მილია მთელი ნახევარი სეზონი და, როგორც ხედავთ, არცთუ ურიგოდ, 22 მოგებას საპირწონედ — 11. არა, უკაცრავად, უკვე 12 მარცხი აქვს და ეს ნაღდად არაა ურიგო შედეგი.

„ნიუ ჯერსი ნეთსი" მაშინ ვერ აქცევდა „სან ანტონიო სპურზს", როცა ლიდერი ჯეისონ კიდი ზღაპრულ ფორმაში ჰყავდა და ჩემპიონობაზე იწევდა, მასთან 2003 წელს პლეი ოფის ფინალიც დათმო. ახლა კი, მით უმეტეს, გაუჭირდათ ნიუჯერსელებს. არც ახლაა „ნეთსი" ცუდ ფორმაშია, აქამდე ზედიზედ ათი შეხვედრა მოეგო და კიდსა და მის დამქაშებს ძალიანაც მოხვდებოდათ გულზე, ეს წაუგებელი სერია სწორედ „სპურზმა" რომ შეაწყვეტინა.

**კოტე ყორშია**

# მესხაძეს მუშტები არ დაუშვია



**თენგიზ მესხაძე თითქმის ოთხ წელიწადს თავკაცობდა საქართველოს კრივის ნაკრებს, ნაახალწლევს კი შეატყობინეს, რომ ქვეყნის უმთავრესი მოჩხუბარი გუნდის მწვრთნელი აღარ არის. ამასთან შეგუებას მესხაძე არ აპირებს და 18 იანვარს კრივის ფედერაციის აღმასკომზე აპირებს თავისი სიმართლე და სამსახური დაიცვას.**

**მესხაძის მთავარი მწვრთნელობისას ჩვენმა მოკრივეებმა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამასთან, ათენის ოლიმპიადაზე ნიკა იზორიამ და კოტე კუპატაძემაც იჩხუბეს. მესხაძისთვის უნდობლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც შარშან ნოემბერში საქართველოს ნაკრები პეკინის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩაფლავდა**

— საერთოდ, ჟურნალისტებსა და სპორტის მმართველებს ვერ ეტყვი, რომ კენჭისყრით არ გაგვიმართლაო. არადა, მართლა ასე იყო. პეკინის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ხუთ ჩვენ მოკრივეს პირველივე წრეში ტურნირის პირველი ნომრები შეხვდნენ, კახა ჟვანია კი პოტენციური მედალოსანი იყო სამი ბრძოლა მოიგო, მაგრამ მეოთხედ ათენის ოლიმპიურ ჩემპიონს შეხვდა და წააგო. თანაც როგორც ჭიდაობაშია, კრივშიც ხუთი ბრძოლა კმარა, მაგრამ კახა ჟვანია მაინცდამაინც ექვსბრძოლიან ჯგუფში მოხვდა — გვითხრა თენგიზ მესხაძემ, რომელსაც დავუკავშირდით.

**— ესე იგი, თქვენი გათავისუფლების მიზეზი პეკინის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩაგდება იყო?**

— მიზეზად ეგ მოჰყავთ, მაგრამ ხომ ვგრძნობ, რომ ვიღაც-ვიღაცეებს ჩემი ადგილის დაკავება უნდათ. საერთოდ, გამგეობაში ისეთი ხალხია შეკრებილი, კრივის რომ არაფერი გაეგებათ. იქ ხელის ასაწევად სხედან. არადა, რამდენი შრომა მაქვს ჩადებული... სანამ მთავარი მწვრთნელი გავხდებოდი, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეროვნულ ნაკრებს შედეგი საერთოდ არ ჰქონია. გიორგი კანდელაკის, რამაზ ფილიანის, კობა გოგოლაძის თაობის წასვლის შემდეგ აქცენტი ახალგაზრდებზე გავაკეთე. გვერდში დავიყენე ზურაბ გუნია, რომლის გაზრდილია თითქმის ნახევარი ნაკრები, ჩემი რეკომენდაციით გენერალურ მდივნადაც აირჩიეს. გუნდი გავაკეთეთ და ახლა მეუბნებიან, უნდა წახვიდეო. მაგათ ნათქვამზე არსადაც არ წავალ. წარმოიდგინეთ, 2002 წელს 16-17 წლის ბიჭებით დავიწყეთ და იმავე წელს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. უფულობის თუ რაღაცის გამო 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი საერთოდ გამოგვატოვებინეს, 2004 წლის ევროპაზე ბრინჯაო, ვერცხლი და ამასთან ოლიმპიადის ორი ლიცენზიაც ავიღეთ.

**— თქვით, რომ ვიღაც-ვიღაცეები თქვენს ადგილს უმიზნებენ — მიზეზად მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები მოჰყავთ. ვინ არიან ისინი?**

— ახლა არ დავაკონკრეტებ, ყველაფერს 18 იანვარს, აღმასკომის სხდომაზე ვიტყვი. ბოლოს და ბოლოს, ათენის ოლიმპიადის შემდეგ სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის რჩევით, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა თავისი ხელით გადმომცა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება და სათქმელი მეც მაქვს.

**— რას აპირებთ?**

— ახლანდელი გამგეობის უმრავლესობა დასათხოვია. მათ კრივის არაფერი გაეგებათ. როგორც იცით, პეკინის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მამა გარდამეცვალა, მაგრამ გუნდს მაინც გავყევი, ვინმე ბოროტ ადამიანს რომ არ ეთქვა, პასუხისმგებლობას გაექცაო. ახლა მამის ორმოცი მქონდა, დამირეკეს და მითხრეს, რომ გამგეობის გადაწყვეტილებით, ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ ვარ. აღმასკომზე აუცილებლად დავაყენებ საკითხს, რომ გამგეობის წევრთა უმრავლესობა დაითხოვონ. ის ხალხი მოვიდეს, ვისაც კრივი ესმის.

**— ეს იგი დათმობას არ აპირებთ?**

— არა, სათქმელს აუცილებლად ვიტყვი.

**— ფედერაციის პრეზიდენტ გიორგი კანდელაკს ესაუბრეთ?**

— დიახ და კონკრეტულ პასუხს გაურბის. ესაო, ისაო, მწვრთნელის დანიშვნა და მოხსნა გამგეობის გადასაწყვეტიაო. მოკლედ, მისგან ბევრი ვერაფერი გავიგე. 18 იანვარს ყველა ვარიანტში იქნება აღმასკომის სხდომაზე და იქ მაინც მოუწევს თავისი პოზიციის დაფიქსირება. თანაც აღმასკომზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიცაა გადასაწყვეტი.

**— როგორც ვიცი, წლეულს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღიც უნდა დაზუსტდეს?**

— დიახ, შარშან, როცა რამაზ ფალიანმაც წამოაყენა თავისი კანდიდატურა, კანდელაკს და მას შორის დაპირისპირება მოხდა. მაშინ ითქვა, რომ კანდელაკი ერთი წლით კიდევ დარჩებოდა პრეზიდენტად და არჩევნები წლეულს გაიმართებოდა. ამ საუბარს სპორტის დეპარტამენტის და სამინისტროს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ახლა კი, როგორც გავიგე, არჩევნების ჩატარებას 2008 წლამდე არ აპირებენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი 18 იანვარს გაირკვევა.

**ბათუ ხარძიანი**



# მოჭიდავეებმა წლის ხალიჩა გაშალეს

## სეზონი შიდა კონკურენციით იხსნება

**„საჭიდაო** სეზონი ტრადიციულად საქართველოს ჩემპიონატით გაიხსნება" — გვაუწყა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა. ფედერაციაში 2006 წლის კალენდარიც დამტკიცებულია, რომელშიც ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის ჭაბუკ, ახალგაზრდულ და ძირითად ნაკრებთა ყველა შიდა თუ საერთაშორისო ტურნირია გათვალისწინებული.

საქართველოს ჩემპიონატი 30 იანვრიდან 2 თებერვლამდე გასტანს და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდება. 30-31-ში ხალიჩაზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეები გავლენ, ხოლო 1-2-ში ბერძენ-რომაელები.

გენერალური მდივნის თქმით, პირველობაში ტრადიციულად ყველა უძლიერესი მიიღებს მონაწილეობას და ნაკრებიც მნიშვნელოვანწილად შიდა შედეგებით დაკომპლექტდება. ერთადერთი გამონაკლისი ალბათ ბერძენ-რომაელი ბადრი ხასაია იქნება. ეს გუშინ ნაკრების თავკაცმა ბეგი დარჩიამაც დაგვიდასტურა. ხასაიამ ახლახან მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ხალიჩაზე დაბრუნებას დრო დასჭირდება.

„ოფიციალურად სეზონის გამხსნელ ტურნირად საქართველოს ჩემპიონატი კი დავამტკიცეთ, მაგრამ შესაძლოა, გეგმაში ცვლილება ამ დღეებშივე შევიტანოთ — განაგრძობს შოშიტაშვილი — 15-16 იანვარს ბაქოში ტრადიციული საერთაშორისო ტურნირია თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც ჩვენი ჭაბუკთა ნაკრებიც მიიწვიეს. ჯერ ამ საკითხზე პასუხის გაცემა მიჭირს, მაგრამ, სავარაუდოდ, თამაზ ბენდიანიშვილის გუნდის აზერბაიჯანში გამგზავრებას ხელს ვერაფერი შეუშლის".



შიდა პირველობამდე ნაკრების წევრთა თუ კანდიდატთა უმრავლესობა ვაკეში, ფალავანთა კლუბში ვარჯიშობს, ერთობლივი შეკრებები კი თებერვლიდან დაიწყება. წლეულს მოჭიდავეთათვის ყველაზე ცხელი თვეები აპრილი და სექტემბერი იქნება. გაზაფხულზე მოსკოვი ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, ხოლო შემოდგომის პირველ თვეს პეკინი — მსოფლიოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**





# კოკაი ფავორიტებს დაერია

**მეხუთე დღეა,** სუმოს მექად წოდებულ ტოკიოს კოკუგიკანში 2006 წლის პირველი ბაშო გახურებულა. მსოფლიოს უძლიერესი დევკაცები იმპერატორის თასისთვის ჭიდაობენ, უფრო ზუსტად კი, ყველა ცდილობს, ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ერთადერთი იოკოძუნა ასასიორიუს ტახტიდან ჩამოსმაში თავისი წილი დადოს. მონღოლი „ცისფერი დრაკონის" ანგარიშზე ხომ უკვე ზედიზედ შვიდჯერ მოგებული იმპერატორის თასია.

ოთხი ტურის შემდეგ ასასიორიუს აქტივში სამი გამარჯვებაა, ერთადერთი მარცხი კი მას დასავლეთის მეორე მაეგაშირა კოკაიმ აგემა. „შავ ზღვად" წოდებულმა ლევან ცაგურიამ დიდი იოკოძუნა შარშანაც წააქცია და ამრიგად მისი წლევანდელი გამარჯვება ბევრმა სენსაციად აღარც კი მონათლა. ეს მეორე ტურში იყო, პირველ და მესამე ტურებში კი კოკაიმ გაცილებით სუსტ მეტოქეებთან წააგო.

გუშინ ცაგურიამ მორიგი სახელიანი კაცი დასცა — იოკოძუნას შემდეგ ყველაზე მაღალი წოდების მფლობელი ოძეკი კაიო. ბაშოს მიმომხილველი სპეციალური ვებ-გვერდის ცნობით, ქართველმა 33 წლის ოძეკის დასამარცხებლად 3,5 წამი იკმარა.

კოკუგი კანის ბაშოს დაუმარცხებელი ოთხი კაცილა შერჩა: ოძეკი ტოჩიაძუმა, სეკივაკე ხაკუხო და რიგითი მაეგაშირები ხოკუტორიკი და ტოკიცუმი. ასასიორიუს, ოძეკი ტოტაიკაის, ოძეკი კოტოოსიუსა და სეკავაკე კოტომიცუკის კი სამ-სამი ქულა აქვთ.

დღეს კოკაი კოტოოსიუს ხვდება. „ბალკანელ გულივერად" წოდებული ეს ბულგარელი სუმოისტი პირველი ევროპელია, ოძეკი რომ გახდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



სოფო ახმეტელს ტურინი სათუო გაუხდა

# ახმეტელს ინსბრუკში ტურინს ეტყვიან

## გელაშვილმა გაასამა

**საქართველოს** საუკეთესო მოთხილამურე ქალის, სოფო ახმეტელის ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე სრიალი ძალიან საეჭვოა.

როგორც ვიუწყებოდით, ახმეტელი ოქტომბერში დაშავდა, ნოემბერში ავსტრიულ ინსბრუკში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა სარეაბილიტაციო კურსს გადის.

ზამთრის ოლიმპიადა და 10-26 თებერვალს ჩაგრიალდება. თუ სოფომ ნაოპერაციევი მუხლი მანამდე მოირჩინა, ხომ კარგი, მაგრამ ეს ძალიან საეჭვოა.

„სოფოს საბოლოო პასუხი 5-6 თებერვალს ელოდინება, როცა ინსბრუკში თავის ქირურგს გაესინჯება. ისე, ავსტრიელი ექიმები ურჩევენ, რომ ოლიმპიადას თავი აარიდოს, მაგრამ სოფოს გულით სურს მონაწილეობა და ვარჯიშობს კიდეც. ყველაფერი მისი ქირურგის საბოლოო პასუხზეა დამოკიდებული" — გვითხრა სოფოს მამამ ლერი ახმეტელმა.

ლერი ახმეტელმა ერთი საინტერესო ინფორმაციაც მოგვაწოდა. ამ დღეებში ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე 13 წლის ქართველმა ჯაბა გელაშვილმა სამი მედალი მოიპოვა. ჭაბუკმა მოთხილამურემ სლალომში მე-2, ხოლო ორ გიგანტურ დაშვებაში მე-3 ადგილები დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ ტურინის ოლიმპიადაზე საქართველო ოთხი სპორტსმენით უნდა წასულიყო. ახმეტელის გარდა „თეთრ ოლიმპიადაზე" მიდიან ფიგურული მოციგურავეები ვახტანგ მურვანიძე და ელენე გედევანიშვილი, აგრეთვე მოთხილამურე იასონ აბრამიშვილი. ქართულ დელეგაციის საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი ჯაფარიძე უხელმძღვანელებს.

**ბათუ ხარძიანი**



# ტურინული ამბავ-ხაბარი

**იაპონელ** ტრამპლინიდან მხტომელი მასაკიჰო ჰარადასთვის ტორინოს ოლიმპიადა მეხუთე თამაშები იქნება. ეს 37 წლის სპორტსმენი თავისი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ალბერვილის, ლილეჰამერის, ნაგანოსა და სოლტ ლეიკ სიტის თამაშებზე იცავდა.

იაპონელები უმთავრეს იმედებს ტურინში გუნდურ ტურნირზე ამყარებენ. ამასთან, მათი გუნდი ლამის ყველაზე ხანდაზმული იქნება ტურინში.

შეგახსენებთ, რომ ნაგანოს ოლიმპიადაზე იაპონელებმა ტრამპლინიდან ხტომაში ოთხი სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვეს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ სოლტ ლეიკ სიტში საპატიო კვარცხბეკზე საერთოდ ვერ მოხვდნენ.

* * *

**მსოფლიოს** ერთ-ერთი უძლიერესი სამთომოთხილამურე, 34 წლის ნორვეგიელი ლასე კიუსი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატებისა და ოლიმპიური თამაშების 16 მედლის მფლობელია, შიშობს; რომ მონაწილეობას ვერ მიიღებს თავის მეოთხე ოლიმპიურ თამაშებზე. 1996 და 1999 წლების მსოფლიოს თასის ლაურეატმა მთელი საშეჯიბრო თვე ქრონიკული რესპირატირული ავადმყოფობის გამო გამოტოვა, რომელიც მას მთელი კარიერის განმავლობაში თან სდევს.

კიუსი ამას წინათ დაბრუნდა კანარის კუნძულებიდან, სადაც ბრონხების აღდგენით კურსებს გადიოდა და ნორვეგიის ნაკრებს შეუერთდა ოლიმპიურ ბანაკ ჰემსედალში.

კიუსის ოლიმპიური ბედი მსოფლიოს თასის ეტაპებზე მისი შედეგებით გაირკვევა.

„ტურინში იმ შემთხვევაში ჩავალ, თუ დარწმუნებული ვიქნები, რომ მედლებისთვის ბრძოლის შანსი მაქვს. იტალიაში ტურისტად არაფერი მესაქმება" — თქვა კიუსმა.

ავადმყოფობის შემდეგ კიუსის პირველი სტარტი წარუმატებელი აღმოჩნდა. პირველ გიგანტურ სლალომში, რომელიც კიონიგსბერგის ურთულეს ტრასაზე გაიმართა, კიუსი კარს ასცდა და დისტანცია მიატოვა.

„ამან ისე დამამწუხრა, რომ სიტყვებით გადმოცემა ძნელია — თქვა ექვსი ოლიმპიური ჯილდოს მფლობელმა — არადა, თავს მშვენივრად ვგრძნობდი და მოგებას თუ არა, საკმაოდ კარგი შედეგის ჩვენებას ვფიქრობდი."

შემდეგი წინაოლიმპიური გამოცდა კიუსს ამ კვირის ბოლოს ვენგენში ელის, სადაც იგი სუპერკომბინაციასა და სწრაფდაშვებაში იასპარეზებს.

ნორვეგიელმა, რომელმაც ტურინის ოლიმპიადის შემდეგ თავისი კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა, თქვა, რომ მაქსიმუმს გაიღებს მეოთხე ოლიმპიადაზე საასპარეზოდ. იგი იმედოვნებს, რომ თებერვალში ევროპაში არც ისე ცივი დღეები იქნება და მის ფილტვებს საფრთხე არ დაემუქრება.



# სიკორას შვება და ტორნტონის შოკი

10 იანვარი

**რეინჯერსი 4:2 კალგარი**

*0:2 2:0 2:0*

**0:1 ფანიოფი (15), 0:2 უორინერი (16), 1:2 სტრაკა (26), 2:2 სიკორა (33), 3:2 უორდი (46), 4:2 მური (60)**

პეტრ სიკორას სიხარულს საზღვარი არ აქვს. ერთი კვირის წინ ჩეხი ფორვარდი „ანაჰაიმიდან" „რეინჯერსში" გაცვალეს და როგორც თავად გამოუტყდა ჟურნალისტებს, ეს მისთვის ნამდვილი შვება იყო.

უდიდეს სიამოვნებას განვიცდი, როცა ვთამაშობ, მით უმეტეს, რომ რეინჯერსში უმეტესობას კარგად ვიცნობ" — თქვა ნამატჩევს სიკორამ, რომლის წყალობითაც გუნდში ისედაც დიდი ჩეხური კოლონია უფრო გაზარდა. ამჯერად თანამემამულე მარტინ სტრაკასა და სეხნია პეტრ პრუხანსთან ერთ სამეულში მოასპარეზე სიკორამ გოლი და პასი მიითვალა.

**ბოსტონი 2:6 სან ხოსე**

*1:2 0:3 1:1*

**0:1 ლანგფელდი (4), 0:2 ლანგფელდი (14), 1:2 იურჩინა (15), 1:3 მენანი (23), 1:4 მარლო (30), 1:5 ჩიჩუ (37), 1:6 ეკმანი (41), 2:6 იურჩინა (59)**

**ჯო** ტორნტონის ბოსტონში დაბრუნება ძალიან სწრაფად დასრულდა. ექსბოსტონელმა ხელი უბიძგა ყოფილ პარტნიორ ჰალ გილს, რის გამოც მსაჯებმა ის 5-წუთიანი და ავტომატურად თამაშის ბოლომდე გაძევებით დააჯარიმეს.

გულახდილად რომ ვთქვათ, სერიოზულ უხეშობა არ ყოფილა და ტორნტონის ასეთი მკაცრი დასჯა არა მარტო ჯოს, არამედ თვით გილსაც კი გაუკვირდა:

„ისეთი ვითარება იყო, ან უნდა დაესაჯათ, ან არა, ოღონდ თამაშის ბოლომდე ზედმეტი იყო".

თავად ტორნტონი ისეთ შოკში იყო, რომ ჟურნალისტებთან საუბარი არც ისურვა. მის ნაცვლად კომენტარი თავკაცმა რონ უილსონმა გააკეთა:

„ჯო ასე მოუთმენლად ელოდა ამ მატჩს, მაგრამ რად გინდა, სულ ორი ცვლა ჩაატარა ყინულზე. არადა, ბოსტონელ ფანებს მისი დანახვა ძალიან სურდათ. სირცხვილი მსაჯებს".

ტორნტონმა მატჩის შემდეგ გილს, ბოდიში მოუხადა, მისი პარტნიორები კი მაინც ჩინებულად გაუმკლავდნენ მასპინძლებს.

**პიტსბურგი 1:3 ედმონტონი**

*0:1 0:0 1:2*

**0:1 ჰორკოფი (17), 0:2 ჰორკოფი (41), 1:2 მელოუნი (48), 1:3 ჰორკოფი (60)**



„დეტროიტის" კაპიტანმა სტივ აიზერმანმა (მარცხნივ) „კაროლინასთან" ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ...

**სულ** რაღაც ერთი თვის წინ „პიტსბურგის" თავკაცად დანიშნული სპეციალისტი აქამდე მოთმინებით უყურებდა თავისი შეგირდების უსუსურ თამაშს, მაგრამ ამჯერად, როცა „პინგვინებს" პრაქტიკულად ერთმა ადამიანმა, „ედმონტონის" ფორვარდმა შონ ჰორკოფმა აჯობა თავისი პირველი საკარიერო ჰეთ თრიქით, ტერიენმა ემოციები ველარ მოთოკა და მკაცრად გააკრიტიკა „პინგვინები".

„მაგრად ვთამაშობთ. ნახევარ გუნდს არაფერი ადარდებს. უფრო სწორად, ვითომ მოწადინებულნი არიან, მაგრამ სინამდვილეში ფეხებზე ჰკიდიათ. ჰოდა რახან მხოლოდ ნახევარ მატჩს ატარებენ სერიოზულად, მოდით, ხელფასიც მხოლოდ ნახევარი გადავუხადოთ" — საერთო განწყობა სიდნი კროსბისაც გადაედო, რომელიც ამჯერად უჩვეულოდ პასიური იყო, ხოლო ნამატჩევს საკუთარ თავზე საუბარს მოერიდა და ჰორკოფზე ილაპარაკა: „სამი შანსი ჰქონდა და სამივე გამოიყენა".

**ოტავა 7:2 ფინიქსი**

*2:1 3:0 2:1*

**1:0 ჰიტლი (2), 1:1 მიხალეკი (8), 2:1 ხარა (12), 3:1 ფიშერი (29), 4:1 ნილი (32), 5:1 ივზი (37), 6:1 ალფრედსონი (42), 7:1 ალფრედსონი (53), 7:2 ლუნდმარკი (58)**

**ორი** ლიდერისგან ერთ-ერთის დაბრუნება საკმარისი გახდა, რათა „ოტავა" კვლავ მრისხანე გუნდად ქცეულიყო. „სენატორებმა" შავი დღე აყარეს მეტოქის დაცვას, ხოლო გუნდის კაპიტანმა დანიელ ალფრედსონმა გამოჯანმრთელება 2 გოლით და 2 პასი აღნიშნა.

**ნეშვილი 2:1 აილენდერსი**

*1:0 0:1 1:0*

**1:0 სალივანი (20), 1:1 ბეიტსი (22), 2:1 სალივანი (57)**

**ვანკუვერი 4:3 ტორონტო**

*1:2 2:0 1:1*

**0:1 კილგერი (5), 1:1 რუუტუ (13), 1:2 ხავანოვი (18), 2:2 კუკი (31), 3:2 ბაროუზი (37), 4:2 კარტერი (49), 4:3 სტინი (51)**

**კაროლინა 3:2 დეტროიტი**

*3:1 0:1 0:0*

**1:0 კალენი (6), 2:0 უიტნი (10), 3:0 კოული (15), 3:1 აიზერმანი (17), 3:2 ზეტერბერგი (44)**

**ვაშინგტონი 3:4 ჩიკაგო**

*0:1 2:2 1:0 0:1*

**0:1 ბარნაბი (9), 0:2 ვრბატა (21), 0:3 შპაჩეკი (23), 1:3 უიტი (32), 2:3 ოვეჩკინი (34), 3:3 საზერბი (44), 3:4 კოლდერი (63)**

**სამველ ღარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფორმულამ ხერესით დაიწყო


მიხაელ შუმახერი პირველ დღეს ყველაზე სწრაფი იყო

**სატესტო** სეზონი მეფორმულეებმა თბილ ესპანეთში ოთხდღიანი ვარჯიშებით გახსნეს. ხერეს დე ლა ფრონტერას ტრასაზე თავიდან მხოლოდ შვიდმა პილოტმა გაიჯირითა, მათ შორის მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა და საუკეთესო შედეგიც აჩვენა.

37 წლის „წითელმა ბარონმა" ხუთკილომეტრიან წრეს ყველაზე მეტჯერ, 82-ჯერ შემოუქროლა და საუკეთესო ცდაზე თითქმის ორი წამი მოუგო თავის უმცროს ძმა რალფს და ახალ მსოფლიოს ტრიუმფატორ ფერნანდო ალონსოს. 24 წლის ესპანელი გვირგვინოსანი შარშანდელი, საჩემპიონო „რენო R25"-ის საჭეს უჯდა, ხოლო ფრანგული საჯინიბოს მეორე მრბოლმა ჯანკარლო ფიზიკელამ წლეულს შეცვლილი რეგლამენტის შესატყვისი, რვაცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი ახალთახალი „R26" გამოსცადა.

ჯანკარლო, ბუნებრივია, წამებს არ გამოჰკიდებია და მხოლოდ სიახლეს შეჩვევა-ათვისებაზე გადაიტანა ყურადღება. ამდენად, დღის მეექვსე შედეგითაც კმაყოფილი დარჩა:

„ურიგო დასაწყისი არ არის. საჭესთან დაჯდომისთანავე თავი კომფორტულად ვიგრძენი. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ მანქანას დიდი პოტენციალი აქვს, თუმც ჯობს, პროგრამის გაგრძელებას დაველოდოთ, ჯერ ხომ მხოლოდ ორასიოდე კილომეტრი გავიარეთ."

ალონსო სიახლეს დღეს გამოსცდის.

პირველ დღეს „ტოიოტასა" და „რედ ბულის" მძღოლებმაც გაიჯირითეს. ტოიოტელთა მიზეზით ვარჯიში ორჯერ შეწყდა. დასაწყისში მეტესტე რიკარდო ზონტა ტრასიდან გავარდა, სალამოს კი რალფ შუმახერის ბოლიდი გაფუჭდა.



ახალთახალი „რენო" პირველად ჯანკარლო ფიზიკელამ გამოსცადა

„რედ ბულის" შოტლანდიელმა პილოტმა დევიდ კულჰარდმა ახალთახალი „RB2"-ის ელექტრონიკის მოშლის გამო მხოლოდ 31 წრის გავლა მოასწრო და შედეგად, ყველაზე სუსტი დრო აჩვენა, მიხაელ შუმახერზე ოთხი წამით უარესი.

**გია ახალაძე**



# მოია ჰავას ეგუება

**ATP**
*სიდნეი. ავსტრალია*
*მაგარსაფარი*
საპრიზო 394 000 დოლარი
**მეორე წრე**

**არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) — 7:6 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — პეტერ ლუჟაკი (ავსტრალია) — 6:7 7:6 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (რუსეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) — 7:6 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 8) — კარლოს მოია (ესპანეთი) — უარი; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია, 1) — იურგენ მელცერი (ავსტრია) — 6:1 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი, 2) — აუგუსტინ კალერი (არგენტინა) — 6:4 7:6; **ანდრეას სეპი** (იტალია) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) — 7:5 7:6; **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — გადაიდო

**კარლოს მოიას** სებასტიან გროჟანთან გამარჯვება ბევრმა შემთხვევითობად ჩათვალა — ის ინდურ ჩენაიდან ახალი ჩაფრენილი იყო სიდნეიში და წესით, დაღლილობას და ავსტრალიურ სიცხეს თავისი უნდა გაეტანა. მაგრამ თითქმის ყველასათვის (თავად ესპანელისთვისაც) მოულოდნელად, მოიამ იმარჯვა. მატჩის შემდგომ კომენტარში თვითონაც გაკვირვებული ჩანდა — საიდან შემრჩა ამდენი ენერგია, არ ვიციო.

როგორც აღმოჩნდა, ბარსელონელმა ჩოგბურთელმა სწორედ ფრანგთან შეხვედრაში ამოწურა თავისი შესაძლებლობები, რადგან მეორე წრის გამართ შეხვედრაზე უარი განაცხადა და ამერიკელ ჯეიმს ბლეიკის წინააღმდეგ კორტზე საერთოდა არ გავიდა.

ეტყობა, მოია დასვენებას აპირებს, რათა გარკვეულწილად შეეგუოს ავსტრალიურ ჰავას და ამით ასე თუ ისე მომზადებული შეხვდეს მომავალ ორშაბათს დასაწყებ ავსტრალიის ღია პირველობას.

ისე კი სიდნეიში წარმატებით გამოსვლას განაგრძობენ რუსი ჩოგბურთელები. მეოთხედფინალის საგზურები ერთდროულად სამმა რუსმა მოიპოვა — ნიკოლაი დავიდენკომ, დმიტრი ტურსუნოვმა და იგორ ანდრეევმა.

რუსთაგან განსაკუთრებით გაუჭირდა მეორე წრის დაძლევა ანდრეევს, რომელმაც უმძიმესი, სამსეტიანი შეხვედრა ჩაატარა ავსტრალიის სახელით მოასპარეზე პოლონური წარმოშობის ჩოგბურთელ პეტერე ლუჟაკთან. ამ დაპირისპირებაში სამივე სეტი ტაიბრეიკამდე მივიდა. პირველ სეტში ავსტრალიელმა იმარჯვა, მომდევნო ორი კი ანდრეევის სასარგებლოდ დამთავრდა, თუმც რუსს მეორე პარტიაში ორი მატჩ-პოინტის აღმოფხვრა დასჭირდა.

არ გასჭირვებია შემდგომ ეტაპზე გასვლა პირველ ნომრად განთესილ ლეიტონ ჰიუიტსაც, რომელსაც არანაირი პრობლემა არ შექმნია ავსტრიელ იურგენ მელცერთან შეხვედრაში...

**WTA TOUR**
*სიდნეი. ავსტრალია*
*მაგარსაფარი*
საპრიზო 600 000 დოლარი
**მეოთხედფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 6) — ანა ივანოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია) — 7:6 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 8) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) — 6:3 3:1 (*შეწყდა*); **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 5) — ნადია პეტროვა (რუსეთი) — უარი; **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია, 7) — კიმ კლაისტერსი (ბელგია, 1) — უარი

**ქალებმა** მეოთხედფინალის თამაში უკვე ჩაატარეს და ნახევარფინალისტებიც გამოვლინდნენ.

ასპარეზობას გამოეთიშა ახალგაზრდა სერბი ანა ივანოვიჩი. მან უკვე მოახერხა სიდნეიში ერთი სენსაციის მოხდენა, როცა ტურნირს მესამე ნომრად განთესილი ფრანგი ამელი მორეზმო გამოთიშა. აი, რუს სვეტლანა კუზნეცოვას კი, რომელიც სიდნეიში მეექვსე ნომრად არის განთესილი, ველარაფერი მოუხერხა.

კუზნეცოვა, რომელმაც შარშან უაღრესად ცუდი სეზონი ჩაატარა, ჯერჯერობით საკმაოდ კარგად გამოიყურება და უკვე ნელ-ნელა გვაგონებს იმ ჩოგბურთელს, რომელმაც 2004 წლის აშშ-ს ღია პირველობა მოიგო. რუსს ამჯერადაც თითქმის არანაირი პრობლემა არ შექმნია. ივანოვიჩმა მხოლოდ პირველ სეტში მოახერხა წინააღმდეგობის გაწევა და საქმე ტაიბრეიკამდეც მიიყვანა. თუმც რუსის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და მან თანდათანობით, მეთოდური ზეწოლით მოახერხა ნახევარფინალის საგზურის მოპოვება.


ნიკოლ ვაიდიშოვა

კუზნეცოვა ნახევარფინალში ბელგიელ ჟუსტინ ენინ-არდენს შეხვდება, რომელსაც მეოთხედფინალური ეტაპის გასასვლელად თითის განძრევაც კი არ დასჭირვებია, რადგან მისმა მეტოქემ, ნადია პეტროვამ ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა და უარი თქვა მატჩის ჩატარებაზე.

ენინს კი გაუმართლა, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით მის თანამემამულე კიმ კლაისტერსზე, რომელმაც პეტროვას მსგავსად უარი განაცხადა თამაშზე ტრავმის გამო. ამ გადაწყვეტილებით კლაისტერსმა ნახევარფინალში ადგილი დაუთმო იტალიელ ფრანჩესკა სკიავონეს, თუმც უფრო მნიშვნელოვანი ისაა, შეძლებს თუ არა ბელგიელი ორშაბათისთვის გამოჯანმრთელებას, რათა ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოვიდეს.

ივანოვიჩისგან განსხვავებით, ნახევარფინალში გავიდა მეორე თინეიჯერი ჩოგბურთელი — ჩეხი ნიკოლ ვაიდიშოვა. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო სლოვაკი დანიელა ჰანტუხოვა, რომელმაც ჩეხის ზეწოლას ვერ გაუძლო, ტრავმა მოიმიზეზა და მატჩი აღარ დაასრულა.

ვაიდიშოვა ნახევარფინალში სკიავონეს დაუპირისპირდება.

**ATP**
*ოკლენდი. ახალი ზელანდია*
*მაგარსაფარი*
საპრიზო 430 000 დოლარი
**მეორე წრე**

**ოლივიე როხუსი** (ბელგია, 6) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) — 6:1 7:5; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) — 6:2 6:2; **ნიკოლას მასუ** (ჩილი) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) — 6:4 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (ჩილი, 1) — ივო მინარი (ჩეხეთი) — 6:1 6:4

**WTA TOUR**
*კანბერა. ავსტრალია*
*მაგარსაფარი*
საპრიზო 145 000 დოლარი
**მეოთხედფინალი**

**ანაბელ მედინა გარიგესი** (ესპანეთი, 1) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) — 6:3 6:4; **შაჰარ პეერი** (ისრაელი, 4) — აიკო ნაკამურა (იაპონია) — 2:6 6:3 6:0; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია, 6) — ჯულია შრუფი (გერმანია) — 5:2 (*შეწყდა*); **იონ იონგ ჩო** (ჩრდ. კორეა) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) — 4:6 6:3 6:3

**WTA TOUR**
*ჰობარტი. ავსტრალია*
*მეოთხედფინალი*
საპრიზო 145 000 დოლარი
**მეორე წრე**

**მარა სანტანჯელო** (იტალია) — ჯილ კრეიბასი (აშშ, 8) — 4:6 6:4 6:4; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — ლაურა გრენვილი (აშშ) — 5:7 6:4 6:4; **მიკაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — კატერინა ბონდარენკო (უკრაინა) — 6:2 6:3; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი, 5) — ემი ფრეიზერი (აშშ, 4) — 7:6 7:6

**ბახა ლომჯარია**

# ავსტრალია შსაფინოდ და შნადალოდ

**ავსტრალიის** ღია პირველობას წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება. შარშანდელმა ჩემპიონმა, რუსმა მარატ საფინმა მუხლის ტრავმის გამო უარი განაცხადა მელბურნის კორტებზე გასვლაზე და ამით ტიტულის დაცვის შანსი მოისპო.

საფინმა ამ ტრავმის გამო გასული სეზონის თითქმის მთელი მეორე ნახევარი გამოტოვა. იგი საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ ფაქტობრივად აღარ გასულა კორტზე. და აი გუშინ ცნობილი გახდა, რომ რუსი ვერც ავსტრალიაში ითამაშებს:

„ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი და მუხლი ახლა გაცილებით უკეთ მაქვს. ძალიან მინდა ავსტრალიაში თამაში, მაგრამ იძულებული ვარ, დავეთანხმო ჩემს მწვრთნელს (პეტერ ლუნდგრენს), რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ სერიოზული დატვირთებისთვის „ჯერ მზად არ ვარ" — განუცხადა საფინმა ჟურნალისტებს.

ავსტრალიის ღია პირველობას კიდევ ერთი სერიოზული დანაკლისი ესპანელი რაფაელ ნადალის სახით ყავს. მოგეხსენებათ, რომ ნადალს ფეხის ტრავმა წინა სეზონის ბოლო პერიოდში აწუხებდა, რის გამოც მასტერსის თასზე თამაშიც ვერ შეძლო. ესპანელი იძულებულია, ახალ სეზონში „დიდი მუზარადის" პირველი ტურნირიც გამოტოვოს:

„ავსტრალიის ღია პირველობა ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. სულ რაღაც 10 დღეა, სერიოზულ ვარჯიშს შევუდგი, ეს კი საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ ავსტრალიაში ნორმალურად მაინც ვითამაშო".

ასეა თუ ისე, ამ ორი მეტად საინტერესო და ძლიერი ჩოგბურთელის არყოფნით ავსტრალიის ღია პირველობა საკმაოდ ბევრს დაკარგავს.




# დაკარის გზებზე

ძნელია უდაბნოში სვლა. დაკარის 28-ე რალში უკვე მეათე დღე მიილია. ლიდერი სწორედ რომ ამ „მიცუბიშის“ პატრონი, ფრანგი სტეფან პეტერანსელია, ვინაც ბაობასთან მტვრის კვალი დატოვა. ეს ფრანგი, თავის თანამემამულეს ლუკ ალფანდს 40 წუთით და 4 წამით უსწრებს. „მიცუბიშის“ საჯინიბოში კი, როგორც ყოველთვის, ცხელი დღეა.




# კმაყოფილი ცოლი

ლეიტონ ჰიუიტმა ეს წუთია ორ სეტში დაამარცხა ავსტრიელი იურგენ მელტცერი. ჰოდა, მისი ცოლი ბეკიც კმაყოფილი ტოვებს სიდნეის კორტის ტერასას. სიდნეიში საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს.





# ბავარიელები დუბაიში

„ბაიერნი“ დუბაიშია: ამინდის შესაბამისად ვარჯიშობს და ემზადება სეზონის მეორე ნახევრისთვის. მოქანცული მიხაელ ბალაკი ავტოგრაფებს ურიგებს არაბ ნორჩებს, ბიქსენტ ლიზარაზუ და ანდრეას გიორლიცი კი საპლაჟო კალათბურთში ჩაბმულან.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge